სპორტი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 24 ივნისი 2003 №115 (1886) | ფასი 50 თეთრი



ხიზანიშვილმა რეინჯერსი გადაწყვიტა

გუშინ საბოლოოდ დადასტურდა რა ხანია ცნობილი ამბავი — ზურაბ ხიზანიშვილი რეინჯერსელად შეგვიძლია მოვიხსენიოთ.

არა, კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, უკულმა შესაბრუნებელი პირი აღარ აქვს.

ყველაფერი შეთანხმებულია, მათ შორის ხიზანიშვილის პირადი 4-წლიანი კონტრაქტიც და თუ საბუთს ქართველის ხელმოწერა ჯერაც აკლია, მისთვის ფრიად სასიამოვნო მიზეზით — ზურაბი კვიპროსზე ისვენებს და გლაზგოში გასამგზავრებელ ბილეთს ელის.

გლაზგოში კი ხიზანიშვილს პოზიციის შეცვლას უპირებენ — ალექს მაკლიშს მისი საყრდენ ნახევარმცველად გამწესება სურს.

შეძლებს ხიზანიშვილი? მისი ნიჭის პატრონს არ უნდა გაუჭირდეს.

დელ ბოსკე მადლობით გაუშვეს, რაიკარდი იმედით მიიღეს



გუშინწინ, პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში, სულ ორი თამაში იყო რამეს რომ წყვეტდა. რამეს კი არა, ძალიანაც ბევრს — „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემპიონის ბედი გაირკვა, „კამპ ნოუზე" კი უეფას თასზე გამსვლელისა.

ალბათ სიმბოლურიც იყო, „რეალი" და „ბარსელონა" რისთვისაც გინდა იბრძოდნენ, ესპანური ფეხბურთის მთავარი გუნდები არიან.

და ამ მთავარ გუნდებში გუშინ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიიღეს.

„ბარსელონამ" კონტრაქტი აღარ გაუგრძელა რადომირ ანტიჩს, მწვრთნელს, რომელმაც გუნდი სირცხვილისგან იხსნა და უეფას თასზე გაიყვანა.

„რეალმა" კონტრაქტი აღარ გაუგრძელა ვისენტე დელ ბოსკეს, რომლის დამსახურებაც ბევრად მეტია — ოთხ სეზონში, რაც გუნდის მწვრთნელად იმუშავა, „რეალს" ორჯერ ჩემპიონთა თასი, ორჯერაც პრიმერადივიზიონი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასები მოაგებინა.

„დელ ბოსკეს მადლობლები ვართ, მაგრამ გუნდში ცვლილებებია საჭირო" — მოკლედ განმარტა სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ.

გუშინვე „ბარსელონამ" ახალ მწვრთნელად ფრანკ რაიკარდი დანიშნა. ამგვარად, კატალონიაში ჰოლანდიური ერა გრძელდება — რინუს მიხელსის, იოჰან კრუიფის და ლუის ვან გაალის მერე რაიკარდი „ბარსელონას" მეოთხე ჰოლანდიელი მწვრთნელია.

„რეალში" ჯერ არავინ დაუნიშნავთ, თუმცა ცხადია — როცა მწვრთნელს გაჩემპიონებიდან 24 საათში ხსნიან, მემკვიდრე უკვე შერჩეული უნდა ჰყავდეთ. ჯერჯერობით კი მხოლოდ ვარაუდებია: გუშინ „პორტუს" თავკაცი ყოზე მაურინიუც ახსენეს.

„ნარინჯისფერთა" ერთვნული გუნდის ყოფილ მწვრთნელ რაიკარდს „ბარსელონაში" დახვდება ჰოლანდიური დიასპორა, რომელშიც აღარ იქნება ფრანკ დე ბური — კონტრაქტდასრულებულმა ტყუპისცალმა ახალი კონტრაქტის გაფორმება იუარა და გუდა-ნაბადი აიკრა.

„რეალს" კი დაემშვიდობა მისი კაპიტანი ფერნანდო იერო, ვინაც 14 წელი გაატარა გუნდში და ყველაფერი რამდენჯერმე მოიგო.

კონტრაქტდასრულებულ იეროს ახალი კონტრაქტი აღარ შესთავაზეს და დირექტორატში რამე პოსტს მისცემენ, ისევე როგორც დელ ბოსკეს.

სხვა? მეტი რაღა, ერთი დღისთვის ესეც ბევრია.

ხორვატია, ჰქვია ივო

გენერალი ჰიუიტი უცნობმა ჯარისკაცმა დაამარცხა

ლონდონში გუშინ დაწყებული უიმბლდონის ბალახი ჯერ ოდნავადაც არ მოთელილიყო და აგერ, ბალახივითვე ქორფა სენსაცია: უიმბლდონიდან გავარდნილ წვრილმან განთესილებს ნუ გამოვეკიდებით, პირველივე წრეში ხომ თავად ლეიტონ ჰიუიტი გაიჭყლიტა, უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი და წელსაც მთავარი ფავორიტი.

ჰიუიტი ბოლო 34 წელიწადში პირველივე წრიდან გაგდებული პირველი ჩემპიონია. გამგდები კი ვინ გახლავთ? ესაა მავანი ხორვატი ივო კარლოვიჩი, ვისი არსებობაც ჰიუიტმა ზედ უიმბლდონის წინ შეიტყო, ისიც იმიტომ, რომ მეტოქედ მოხვდებოდა.

208 -სანტიმეტრიანი ივო კარლოვიჩი, სადღეისოდ მსოფლიოს 194-ე ჩოგანი, ყველაზე მაღალია იმ ათასობით მოჩოგნავეში, ვისაც კი უიმბლდონის გრაუნდზე ფეხი დაუდგამს.

მაგრამ, ვითომ მხოლოდ მეტოქის სიმაღლეა ჩემპიონის სამარცხვინო წაგების მიზეზი? ეს მარცხი უფრო ჰიუიტის მრუდე ცხოვრებისეული გეზის ერთ-ერთი ჩიხია. მაშინ პირველ ჩოგან ლეიტონს ერთხელ უთქვამს, ეგ თქვენი პირველი ჩოგნობა ჩალად მიღირს და ამიერიდან მხოლოდ სლემტურნირების მოსაგებად დავიხარჯებიო. ჰოდა, ამ მცონარობაში პირველი ჩოგნობაც დაკარგა და აგერ, ზედიზედ მესამე სლემტურნირიდანაც მიაბრძანეს.



REUTERS ლონდონიდან

აყლაყუდა ივო კარლოვიჩმა ლეიტონ ჰიუიტს თამაშითაც ზემოდან დახედა



ფოტო ფეხბურთელთა ოჯახიდან

სამხარი მწვრთნელით

ჩხაიძემ არველაძეს ჩაროზად ლოკომოტივი მიართვა

მეთხუთმეტე ჩემპიონატში თბილისურ „ლოკომოტივს" რევაზ არველაძე უთავკაცებს. რკინიგზელთა პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ხელი ხელს გუშინ ნასამხრალს დაჰკრეს. „ლოკომოტივის" გაწვრთნაში რევაზ არველაძეს გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე დაეხმარებიან.





აკაკი ჩხაიძის იდეამ, სამომავალსეზონოდ ახალგაზრდული, უამბიციო გუნდი ჩამოეყალიბებინა, თვეზე ცოტა მეტ ხანს გაძლო და გუშინ მიიცვალა. თავად განსაჯეთ, რა გუნდი იქნება „ლოკომოტივი" — კარში ლომაია, დაცვაში ზაზა ზამთარაძე, რომელიც გერმანულ „ფრაიბურგს" დაემშვიდობა, ლაშა სალუქვაძე, გამოჯანმრთელებული სერგო ორბელაძე და როინ ონიანი. ნახევარდაცვაში დარებიან: *დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე, ზურაბ მამალაძე; ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, მამუკა წერეთელი, ილია კანდელაკი; ზურაბ ექონია, ალეკო გოგობერიშვილი, დავით კვირკველია, არჩილ სახვაძე, გიორგი ანჩაბაძე, ლადო ბურდული, ვიტალი დარასელია; ლადო ახალაია, მიხეილ ბობოხიძე, ირაკლი სამხარაძე, სანდრო იაშვილი.*

დიდი შანსა, რომ რატი ალექსიძესთან ერთად „დინამოს" რუიტში ჩააკითხონ ამჟამად თბილისის „ლოკომოტივის" ნახევარმცველმა დავით სირაძემ და თურქული „ქოჯაელიდან" წამოსულმა რევაზ ქემოკლიძემ. ყოველ შემთხვევაში, ამ ფეხბურთელებთან და რკინიგზელ კლუბთან მოლაპარაკებები უკვე რა ხანია, მიმდინარეობს. არ არის გამორიცხული, მოსამზადებელ პერიოდში დინამოელებს სხვა ფეხბურთელებიც შეუერთდნენ, თუმც ყველაზე მოსალოდნელი ამ ორის გადინამოელებაა. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ „ლოკომოტივის" თანხმობის შემთხვევაში, სირაძე „დინამოში" განათხოვრდება.

ჩემპიონებს რუიტში რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელიც მიაკითხავს. მათი ვინაობა ჯერ უცნობია, თუმც „დინამოს" პრესსამსახური ამ ინფორმაციას, როგორც ყოველთვის, რუიტიდან ოპერატიულად მოგვაწვდის. ისე კი, ივო შუშაკს ბევრჯერ აქვს ნათქვამი, უცხოელი რომ „დინამოში" დავიტოვოთ, ქართველს ერთი თავით უნდა სჯობდესო.

ჩვენებს გერმანიაში ექვსი-შვიდი ამხანაგური მატჩი აქვთ დაგეგმილი. 26 და 28 ივნისს თბილისელები გერმანული რეგიონალლიგის გუნდებს გაეჯიბრებიან, 1 ივლისს ავსტრიულ კლუბს, 5-ში ბუნდესლიგელ „მიუნხენს" ძირითადი შემადგენლობით, 8 ივლისს კი „დინამო" „ულმს" დაუპირისპირდება. 12-ში ჩემპიონები თბილისში იქნებიან, დაისვენებენ და 16 ივლისს „ტირანასთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩისთვის მოემზადებიან. შეგახსენებთ, ეს შეხვედრა ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდება.

კობა ინასარიძე



ბადრი ჯეელაძის ფოტო

რატი ალექსიძე

დინამო რუიტში, ალექსიძე წყალში ? სირაძე ?



ბადრი ჯეელაძის ფოტო

დავით სირაძე

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო" დღეს გერმანულ დაბა რუიტს ოცდღიან შეკრებაზე 19 ფეხბურთელით მიემგზავრება. გუშინ გადაწყდა, რომ ტრავმის გამო სამკურნალოდ თბილისში დარჩება და გუნდს მოგვიანებით შეუერთდება თავდამსხმელი რატი ალექსიძე. მას, როგორც „დინამოში" გვითხრეს, ხერხემლის მალის დაზიანება აქვს და წყლის პროცედურები და მასაჟები სჭირდება. რატის ეს ტრავმა უკვე ერთი თვეა, აწუხებს და ახლა მკურნალობის დრო დაუდგა. ექიმები ვარაუდობენ, რომ ალექსიძე რუიტში მომავალ კვირას ჩავა. რუიტშივე დახვდება გუნდს მწვრთნელი ივო შუშაკი და ბრაზილიელი კარლოსი.

თბილისიდან კი ესენი მიემგზავრებიან:

ფილია მოსკოვს შეჰყურებს, კოლხეთი პრეზიდენტს



ბუბუნა ფოლადაშვილის ფოტო

სოსო ფილია

15 ივნისს შეკრიბა სოსო ფილიამ შეგირდები და „კოლხეთიც" საახალსეზონო სამზადისს შეუდგა. თუ რამდენიმე ფარმკლუბელს არ ჩავთვლით, ფაზისელთა რიგებში ახალი ფეხბურთელი არ გამოჩენილა.

ფილიამ ჯერჯერობით შემტევი გონჩაროვი მოისაკლისა, რომელიც მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულებისთანავე მოსკოვს გაემგზავრა და იქაურ „ტორპედო-მეტალურგში" ისინჯება. მწვრთნელს ეიმედება, რომ ფორვარდი მალე დაუბრუნდება.

„ფაზისზე" დაბრუნების სურვილი ფილიას ყოფილ შეგირდებს, ჯონი შალამბერიძეს და რამაზ სვანაძეს გამოუთქვამთ. შალამბერიძე კონტრაქტით „დინამოს" ეკუთვნოდა, თუმც გასულ სეზონში შუშაკის გუნდში არ უთამაშია. ხელშეკრულებით სვანაძეც დინამოელია, თუმც ჯერ „კოლხეთში" იბურთავა ივჯარის წესით, იქიდან კი ბოლნისში გადაბარგდა და ჩემპიონატიც იქ ჩაამთავრა. თუ ფაზისელთა თავკაცს ვერწმუნებით, შალამბერიძის გაკოლხების ამბავი თითქმის გადაწყვეტილია, სვანაძის გადაბირება კი დროის ამბავიაო.

მზადების დაწყებამდე „კოლხეთის" მწვრთნელ-ფეხბურთელებს კლუბის თავკაცი ჯემალ ინაიშვილი შეხვედრია, რომელსაც გუნდისთვის ყოველმხრივ დახმარება ალუთქვამს და, როგორც ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ გვითხრა, სავარაუდოდ „კოლხეთი" ორკვირიან უცხოურ შეკრებაზეც გაემგზავრება. როგორც ცნობილია, ფოთელები საწვრთნელად ბულგარეთს ირჩევენ.

გაბუა ძვანტალიანი

2003 წლის ფიფას კონფედერაციის თასი

B ჯგუფი, III ტური

ბრაზილია 2:2 თურქეთი	აშშ 0:0 კამერუნი

უკვადეთი

XI ტური

ჰელსინგბორგი 2:2 ლანდსკრონა
ელფსბორგი 2:0 აიკ
გიოტებორგი 1:1 სუნდსვალი
იურგორდენი 0:2 მალმიო

ფინეთი

თასის პირველი ეტაპი

ჰიკ 3:2 დ.დ. (2:2) ჰაკა
ტურკუ 0:2 მიუსა

ნორვეგია

XI ტური

ბრინი 1:1 ბრანი

გადაწყვეტილი ამბავია, ზურაბ ხიზანიშვილი შოტლანდიურ „რეინჯერსში“ ითამაშებს. ეგებ დღესვე, ანაც ხვალ, მაქსიმუმ კვირის ბოლომდე ქართველი მცველი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ზურა ახლა კვიპროსზეა დასასვენებლად და შოტლანდიელთაგან გლაზგოში გასამგზავრებელ ბილეთს ელის. ხიზანიშვილმა „რეინჯერსს“ გუშინ ტრანსფერზე საბოლოო თანხმობა შეუთვალა და ამით სხვა გუნდში მისი გადასვლა გამოირიცხა: არჩევანი გაკეთებულია – ხიზანიშვილი რეინჯერსელია

ხიზანიშვილი-რეინჯერსი

მაკლიში ზურას ოთხი წლით დაეყრდნობა



ბაზრის ბლიცბალის ფოტო

— შოტლანდიის ჩემპიონთან კონტრაქტი შეიძლება ხვალვე გავაფორმო. გლაზგოს ბილეთს ველი და თუ ახლა მივიღე, დაუყოვნებლივ გავფრინდები და გამზადებულ ოთხწლიან კონტრაქტს ხელს მოვაწერ — გვითხრა ზურაბ ხიზანიშვილმა გუშინ კვიპროსზე რომ დავუკავშირდით.

— თუ ბილეთმა აქ ვერ ჩამომისწრო, მაშინ გლაზგოში თბილისიდან წავალ, ხვალ მაინც ვაპირებდი დაბრუნებას.

— გამოდის, რომ, ფაქტობრივად, რეინჯერსელი ხარ?

— გამოდის კი არა, ეგრეა. შოტლანდიელებს უკვე ყველა დეტალზე შევუთანხმდი, კონტრაქტს მხოლოდ ჩემი ხელმოწერა აკლია.

— კლუბის წარმომადგენლები კვიპროსზე ჩამოვიდნენ?

— არა, „რეინჯერსს“ თანხმობა აგენტის პირით შევუთვალე.

— „დანდი“ საკომპენსაციო თანხას რამდენს მიიღებს?

— ვერ გეტყვით, ეს კლუბების საქმეა და არ მაინტერესებს.

— „რეინჯერსთან“ კონტრაქტში რაიმე განსაკუთრებული პუნქტი ხომ არაა? დავუშვათ ისეთი, შოტლანდიელებისგან გათავისუფლება ვადაზე ადრე რომ შეგეძლოს?

— არაფერი განსაკუთრებული. კონტრაქტი ოთხწლიანი, ყოველგვარი პლუს-მინუსების გარეშე.

— ბოლო ხანს „რეინჯერსის“ მწვრთნელთან არ გისაუბრია?

— არა, კლუბსა და ჩემს შორის აგენტი იყო.

— დარწმუნებული ხარ, რომ მაკლიში ძირითადში გათამაშებს?

— როცა „რეინჯერსს“ თანხმობას ვაძლევდი, ამაზეც ვფიქრობდი. ძირითადში თამაშის გარანტია არავის აქვს, მათ შორის, არც მე. ძირითადში ადგილი უნდა დავიმსახურო, რისი დიდი იმედიც მაქვს.

— კლუბი კაპიტან ამორუზოს ჰყიდისო. თუ ასე მოხდა, ძირითადისკენ გზა ალბათ, გაგიიოლდება...

— მეც გავიგე, ამორუზო „ბლეკბერნში“ მიდისო, თუმც ეს ჩემთვის ნაკლებმნიშვნელოვანია.

— „რეინჯერსში“ კვლავაც მცველად ითამაშებ?

— არა მგონია, მაკლიში საყრდენ ნახევარმცველობას მიპირებს.

— მერე არ გაგიჭირდება?

— სულერთია, შუაში ვითამაშებ თუ უკანა ხაზში. სადაც გუნდს დავჭირდები, მეც იქ ვიქნები.

— გლაზგოში გამგზავრების წინ განწყობა როგორი გაქვს?

— მშვენიერი, გახარებული ვარ. „რეინჯერსში“ თამაშის გადაწყვეტილება თავად მივიღე. ჩემზე გავლენა არავის მოუხდენია. სადაც მსურდა, იქ ვითამაშებ და ამიტომაც კარგ ხასიათზე ვარ.

მაშ ასე, არც „ევერტონი“ და „ტოტენჰემი“, არც „ინტერი“ და „ბრეშა“, ზურაბ ხიზანიშვილმა მის სავარაუდო ტრანსფერზე ლაპარაკი გუშინ დაასრულა — შოტლანდიურ გრანდში მეორე ქართველი ითამაშებს. 21 წლის ფეხბურთელისთვის დიდი ფეხბურთის გზა იხსნება — „ნორჩი დინამოელი“, „დინამო 2“, „ლოკომოტივი“, „დანდი“...

კოტა ინასარიძე

ინტერტოტოს თასი 2003. I ეტაპი

ინტერტოტოს თასის საამსეზონო გათამაშებაც წარუმატებლად დაიწყო თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ“, ვეტერინარები კვირას ავსტრიულ „პაშინგთან“ დამარცხდნენ საგარეო მატჩში.

ქართველებს თბილისიდანვე პრობლემები აჰყვათ. ჯანი კარნევალიმ ტრავმის გამო ნიჭიერი ადამია მოისაკლისა. გუნდს ავსტრიაში მუხლმტკივანი გიორგი ყიფიანიც არ გაჰყოლია. გამგზავრების წინ ვარჯიშზე თენგიზ კობიაშვილი დაშავდა. კარნევალიმ ეს მცველი მაინც იახლა „პაშინგთან“ სათამაშოდ, თუმც იმედი გაუცრუვდა — თენგიზმა ვერ შეძლო საკვირაოდ გამოჯანმრთელება.

პაშინგმა იგლიდერა

ქართველებმა მსაჯი ახსენეს

შვანენშტადტი. 22 ივნისი. 21 საათი. 700 მაყურებელი

პაშინგი 1:0 ვიტ ჯორჯია

10 გლიდერი (66ბ)

პაშინგი: შიკგლუბერი, კაგკახი, ვიზიო, როტბაუერი (ახლანი 77), კისენებერი (ბ. კოვაჩევიჩი 70), პორვატი, გლიდერი, რაიგლერი, დატორუ (მაირლები 61), ანბელი, მაირი
სათადარიგო: ზაურერი
მწვრთნელი: გეორგ ზელჰოფერი

ვიტ ჯორჯია: მერლანი, კვახაძე, ინნკირველი, მუჯირი, დიღმელაშვილი (მარცვალაძე 79), ე. მერებაშვილი (ბოლქვაძე 90), გონაშვილი, ნოზაძე, გველესიანი, დოლიძე, ზულუმე (დათუნაშვილი 86)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ფეიქრიშვილი, ლ. მერებაშვილი
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

მსაჯები: სოკოლ იარემი; არბენ პრეგია, არიან მალი (ყველა ალბანეთი)

ქართველებთან მატჩში „პაშინგმა“ ერთადერთი გოლით გაიხარა

ინტერტოტოს თასის საამსეზონო გათამაშებაც წარუმატებლად დაიწყო თბილისურმა „ვიტ ჯორჯიამ“, ვეტერინარები კვირას ავსტრიულ „პაშინგთან“ დამარცხდნენ საგარეო მატჩში.

ქართველებს თბილისიდანვე პრობლემები აჰყვათ. ჯანი კარნევალიმ ტრავმის გამო ნიჭიერი ადამია მოისაკლისა. გუნდს ავსტრიაში მუხლმტკივანი გიორგი ყიფიანიც არ გაჰყოლია. გამგზავრების წინ ვარჯიშზე თენგიზ კობიაშვილი დაშავდა. კარნევალიმ ეს მცველი მაინც იახლა „პაშინგთან“ სათამაშოდ, თუმც იმედი გაუცრუვდა — თენგიზმა ვერ შეძლო საკვირაოდ გამოჯანმრთელება.

ავსტრიელებმა ცოტა ხნის წინ „ჰამბურგიდან“ გადაბირებული მიხაელ ბაური ვერ ათამაშეს. პაშინგელებმა ნაკრებში და ჩემპიონთა ლიგაში გამობრძმედილი მცველის განაცხადში შეყვანა ვერ მოასწრეს. გუნდის მწვრთნელმა გეორგ ზელჰოფერმა გამოცდილი მაირლების და ბოზო კოვაჩევიჩის სამსახურიც არ ისურვა ძირითად შემადგენლობაში, თუმც მოგვიანებით ეს ორი სანაკრებო კაცი მაინც შეუშვა მოედანზე.

პაშინგელებმა მშობლიური სტადიონიდან 50 კილომეტრში, შვანენშტადში უმასპინძლეს მეტოქეს. ქართველთა გასამხნევებლად 700 მაყურებელთა შორის შტურმელი დავით მუჯირი და გერმანიიდან საგანგებოდ ავსტრიაში ჩასული ლევან კობიაშვილიც იყვნენ. „ვიტ ჯორჯიას“ ავსტრიაში საქართველოს ვიცე-კონსულმა მერაბ ღვინიანიძემაც უქომაგა.

ალბანელი მსაჯის სასტარტო სასტვენის შემდეგ გუნდებს ურთიერთგაცნობა დიდხანს გაგრძელებიათ, ამიტომაც სადებიუტო წუთებს უინტერესოდ ჩაუვლია, თუმც ტაიმის შუაწელში ავსტრიელები გამოცოცხლებულან და შავკანიანი დატორუს „მეორე სართულზე“ ყოჩაღობით გარკვეული უპირატესობაც მოუპოვებიათ. 25-ე წუთისთვის დატორუ გაიტანდა, მერლანს რომ არ ეყოჩაღა. „ვიტ ჯორჯია“ კონტრშეტევებზე გამეცადინებულა, მაგრამ ბევრიც ვერაფერი დაუკლია ანბელის და ვიზიოს მიერ საიმედოდ შედუღაებული დაცვისთვის. ერთადერთი საგოლე შანსი თბილისელებს 35-ე წუთზე ჰქონდათ, მაგრამ მელქაძის პასით ხელსაყრელ სიტუაციაში დარჩენილმა გველესიანმა ვერ ივარგა.

მეორე ტაიმში მაირლების გამოჩენამ საგრძნობლად გააქტიურა მასპინძლები, თავისუფლად ამოძრავდა მეგოლე გლიდერი და დაცვაში ჩამჯდარ სტუმრებს გვარიანი თავსატეხიც გასჩენიათ.

„პაშინგის“ დაწოლას 66-ე წუთზე პენალტი მოჰყვა, საჯარიმოში გლიდერთან ბრძოლას კვახაძემ ვერ გაართა თავი — დაზარალებულმა უნაკლოდ შეასრულა პენალტი.

დარჩენილ დროს მასპინძელთა იერიშებით ჩაუვლია, თუმც „პაშინგმა“ მეტის გატანა არ ინდომა, „ვიტ ჯორჯია“ კი გამთანაბრებელი არ იყოო, იტყობინებიან უცხოური ვებ-გვერდები.

დამარცხებული ქართველები „ქართული მიზეზით“ დაბრუნდნენ ავსტრიიდან. მატჩის მნახველი და არმნახველიც „ვიტ ჯორჯიას“ კარში დანიშნულ უსამართლო პენალტზე საუბრობს, თუმც უეფას ოფიციალურ საინტერნეტო გვერდზე და, ცხადია, ავსტრიულ პრესაშიც მსგავსი არაფერი წერია. ქართველთათვის სადავო ეპიზოდი მშრალადაა ახსნილი, გლიდერის საგოლე გარღვევა კვახაძემ წესის დარღვევით შეაჩერაო.

ასეა თუ ისე, ვეტერინარებს, რაღა თქმა უნდა, საპასუხო მატჩში არცთუ ურიგო შანსი აქვთ. აქვე ისიც ვთქვათ, რომ „პაშინგი“ ძლიერდება, რაკილა საქართველოში ჩამოსვლამდე ჩვენი მეტოქე ახლადშეძენილი პატრიკ პირერის (აუსტრია) და ფარუკ აჭილაის (კერნტენი) განაცხადში შეყვანას ეშურება. თუმც, ინტერტოტოს თასის გათამაშების დებულების თანახმად, ესენი „ვიტ ჯორჯიასთან“ ვერ ითამაშებენ. ამავე მიზეზით თბილისში ვერც ზემოთ ნახსენები მიხაელ ბაური ჩამოვა. ავსტრიელებს კი სამშობლოდან მშობლიური გაზეთების პათოსი გამოაცილებს — თუ „პაშინგმა“ მოინდომა, ქართველები თბილისშიც არ არიან ჩვენი გაჩერებლებიო, ამბობენ ავსტრიელი ჟურნალისტები.

პაატა კვანტალიანი

ენკამპი (ანდორა)	0:3	ლიერსი (ბელგია)
სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი)	1:5	პობედა (მაკედონია)
კოპერი (სლოვენია)	1:0	ზაბრენები (ხორვატია)
ფალგირისი (ლიტვა)	1:1	იორგრიტე (შვედეთი)
ვიდეოტონი (უნგრეთი)	2:2	მარეკი (ბულგარეთი)
ტამპერე (ფინეთი)	1:0	ჩაჭლაული (რუმინეთი)
სუტიესკა (ბოსნია)	3:0	უნიონი (ლუქსემბურგი)
პოლონია (პოლონეთი)	0:3	ტობოლი (ყაზახეთი)
ალიანსი (ფინეთი)	1:0	ჰიბერნიანსი (მალტა)
პარტიზანი (ალბანეთი)	2:0	მაკაბი (ნეთანია, ისრაელი)
ბრნო (ჩეხეთი)	1:0	კოტაიკი (სომხეთი)
დიორ ეტო (უნგრეთი)	1:1	ეთნიკოსი (კვიპროსი)
ბანგორ სიტი (უელსი)	0:1	გლორია (რუმინეთი)
ლუბნიცა (სლოვაკეთი)	3:0	ოლიმპიაკოსი (კვიპროსი)
დაჩია (მოლდოვა)	4:1	ბი ბოტუ (ფარერები)
სლობოდა (ბოსნია)	1:1	აპურეირი (ისლანდია)
შახტიორი (ბელარუსი)	1:0	ოგაბ თაუნი (ჩრდ. ირლანდია)
ოფკ (სერბეთი)	6:1	ტრანსი (ესტონეთი)
დინაბურგი (ლატვია)	1:0	ვილი (შვეიცარია)
ოდრა (პოლონეთი)	1:2	შემროკ როვერსი (ირლანდია)

საპასუხო მატჩები გაიმართება 28-29 ივნისს

გუშინ მიხეილ აშვეთიასა და ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას“ გზები საბოლოოდ გაიყარა. ფეხბურთელმა კლუბის პრეზიდენტისგან გათავისუფლების ფურცელი მიიღო. სად წავა საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი, ჯერაც უცნობია. რამდენიმე ვარიანტის ჩაშლის შემდეგ, რომელთაგან ყველაზე რეალური მოსკოვური ცსკა ჩანდა, აშვეთიას სამი შესაძლო კლუბი შერჩა ხელთ — წლეულს საკმაოდ მოღონიერებული „როსტოვი“, ინკოგნიტოდ ქცეული ერთ-ერთი რუსული კლუბი და... თბილისის „დინამო“, სადაც მას 1997-2000 წლებში უთამაშია და 57 მატჩში 49 გოლიც გაუტანია.

გუშინ მიხეილ აშვეთიას ვლადიკავკაზში შეეხმიანეთ



მურმან დოლიძეს ფოტო

აშვეთიამ რუსული დამალა და ქართული გაამხილა

ოსებისგან თავისუფალ თავდამსხმელს შუმაკის დინამო ეძახის

— ჯერ არ გადამიწყვეტია სად გავაგრძელებ კარიერას. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ „სპარტაკ-ალანიადან“ მივდივარ.

— ამას ადრეც ამბობდი...

— ჰო, მაგრამ ახლა უფრო გადაჭრით შემიძლია ამის თქმა. დღეს შევხვდი კლუბის პრეზიდენტს და ზუსტად ამ თემაზე ვესაუბრე. შევთანხმდით, რომ ვლადიკავკაზს დავტოვებ.

— ესე იგი, შეგვიძლია ჩათვალოთ, რომ „სპარტაკ-ალანიას“ ფეხბურთელი აღარ ხარ?

— ასეა. აქ დარჩენა მაინც აღარ შემეძლო, გაქცევაზე მქონდა თვალი და თან ახლა დასტური თავად პრეზიდენტისგანაც მივიღე.

— სად გააგრძელებ კარიერას, არაფერი არ გამოიკვეთა?

— ჯერ ნაღდად არაფერი გადამიწყვეტია. თავადაც იცით, რომ „როსტოვი“ მეპატიჟება, მაგრამ არ ვჩქარობ.

— ეტყობა, სხვა წინადადებებიც გაქვს...

— ცხადია. არიან კლუბები, რომელთაც ჩემი მიწვევა სურთ. მეც ვცდილობ, კარგად დავფიქრდე და მერე გადავწყვიტო. არ მინდა, ნაჩქარევი ნაბიჯის გამო ვინანო. ალბათ, ორ-სამ დღეში ყველაფერი მეცოდინება.

— რომელი კლუბები გიწვევენ?

— ერთ-ერთი თბილისის „დინამოა“, რუსული კლუბიც არის.

— „დინამოში“ გადასვლაზე საუბარი რეალურია?

— შემოთავაზება იყო, მაგრამ თანხმობა ჯერ არ მითქვამს.

— თავად საით მიგიწევს გული?

— რუსეთისკენ.

— რატომ? არ გირჩევნია, „დინამოსთან“ ერთად ევროთასებზე ითამაშო?

— ეგ ვარიანტი ძალიან მხიბლავს. „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად იბრძვის, მაგრამ აქ ერთი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი. „დინამო“ რომ ლიგაში ვერ მოხვდეს, მერე მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში მომიწევს თამაში, ეს კი რუსეთში თამაშს ცხადია, ვერ გაუტოლდება. თავადაც დამეთანხმები, აქ უფრო მაღალი დონეა, ვიდრე საქართველოში, თორემ „დინამოს“ პირობები ჩემთვის მიუღებელი სულაც არ არის.

— ის რუსული კლუბი რომელია, დღემდე რომ მალავ?

— დავმალავ კიდეც, საიდუმლოა. სანამ იქ არ გადავალ, მანამდე იმ კლუბის სახელს არ გავაცხადებ. რამდენიმე დღეში ისედაც ყველაფერი უნდა გაირკვეს.

ქახა შალამბერიძე

ისინი ჩამოიტანენ თასს? ქართლ-კახეთი... ჰოლანდია

რამდენიმე დღეა, საქართველოში „ფოქს კიდსის“ საბავშვო ტურნირი დასრულდა, რომელიც პარალელურად მსოფლიოს ოც ქვეყანაში გაიმართა ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის. მონაწილეები 13-წლამდე ასაკის ბავშვები იყვნენ.

საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარებულ „ფოქს კიდსის“ თასის გათამაშებას ტელეკომპანია „რუსთავი 2“ და კომპანია „კოკა კოლა“ სპონსორობდნენ. გამარჯვება კი თელავის ვაჟთა გუნდ „ნადიკვარს“ და ხაშურის გოგონათა გუნდ „დიანას“ დარჩათ.

შაბათს ორგანიზატორებმა გამარჯვებულები დაავჯილდოვეს და ჰოლანდიაში გააცილეს. სწორედ „ტიტების ქვეყანაში“ ჩატარდება „ფოქს კიდსის“ თასის ფინალური ეტაპი.

„ჩვენ თასს ჩამოვიტანთ!“, ამგვარი შეძახილებით ესტუმრნენ თელაველი და ხაშურელი მოზარდები „კოკა კოლას“, სადაც მათ კომპანიის პრეზიდენტი თემურ ჭყონია და მისი ქალიშვილი, ფირმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მშვენიერი სოფო ჭყონია დახვდნენ. მასპინძლები პატარა ჩემპიონებს „კოკა კოლათი“ გაუმასპინძლდნენ და ამ გამაგრილებელი სასმელის წარმოების პროცესიც გააცნეს. ბავშვებიც გულდასმით ათვალიერებდნენ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ კოხტა ქარხანას.

ბოლოს თემურ ჭყონიამ პატარები ქუდებით, სპორტული ჩანთებითა და 50-50 ევროთი დაავჯილდოვა. მათვე ჟურნალისტებთან ერთად სამახსოვრო საჩუქრებიც დაურიგდათ.

თემურ ჭყონია: „ჩვენ ამ ბავშვების იმედი გვაქვს. ძალიან მინდა, ისინი ჰოლანდიიდანაც გამარჯვებულები დაბრუნდნენ. ჩემი პირველი მოთხოვნაც ესაა, თასს ველოდები“.

სოფო ჭყონია: „მიხარია, რომ საქართველოში ეს ტურნირი ჩატარდა, ბავშვებს საშუალება მიეცათ თავი გამოეჩინათ ასეთ პოპულარულ გათამაშებაში. „კოკა კოლაც“ ვალდებული იყო, ამისთვის ხელი შეეწყო. ბავშვებს დიდ წარმატებებს ვუსურვებ“.

აქვე გეტყვით, რომ ფინალური ეტაპი ჰოლანდიაში კვირას დაიწყო და 26 ივნისამდე გაგრძელდება. თელაველმა ბიჭებმა ორი მატჩის გამართვა მოასწრეს, ორივეში იმარჯვეს და ჯგუფშიც პირველობენ. გოგონებმა კი ორივე მატჩში მარცხი იწვნიეს. ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ტურნირში სულ 20 ქვეყნის გამარჯვებული გუნდი მონაწილეობს.

აი, ქართველი ჩემპიონებიც:

***ნადიკვარი:** სანდრო ალადაშვილი, ლაშა ქუფარაშვილი, გიორგი არაბული, გიგა მელიქიშვილი, კარლო ჭვრიტიძე, ირაკლი დეკანოზიშვილი, ბექა დათიშვილი, ბექა ხუციშვილი, გიორგი გურგენიშვილი, გელა გიორგანაშვილი; მწვრთნელი — ლევან ალადაშვილი.*

***დიანა:** თეა ციცქიშვილი, გვანცა ხვედელიძე, თინიკო ღონღაძე, ინა ბიჭიკაშვილი, მარიამ მესხი, ნათია გონგლაძე, თიკო ლომიძე, მარიანა ივანიშვილი, თამთა მალიძე, თამუნა შუბითიძე; მწვრთნელი — თემურ კობერიძე.*

ქახა შალამბერიძე

სადაც ეკიბასტუზეცია...

უკრაინის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა კიევის „დინამოს“ ტრიუმფით დასრულდა, ჩვენ კი ქართველთა მონაგარზე ვთქვათ. ყველაზე წარმატებული სეზონი გოჩა ჯამარაულს და გიორგი დემეტრაძეს გამოუვიდათ. პირველი წრის შემდეგ ბევრს ვერც წარმოედგინა დონეცკის „მეტალურგის“ მესამეობა, მაგრამ ქართველებით გაძლიერებულმა დონბასელებმა დასკვნითი ეტაპი ძალიან ძლიერად ჩაატარეს და უეფას თასის საგზურიც ალალად მოიპოვეს. ბოლო ტურში „ობოლონის“ კარში გატანილი სამი გოლი-დანაც ორი ჯამარაულ-დემეტრაძის იყო. გარდა ამისა, ორივემ თითო საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში.

უკრაინაში ჩვენებურებს უიღბლო სეზონიც ჰქონდათ. ზოგმა იმედები ვერ გაამართლა და ოდენ ლიგაში ადგილის შენარჩუნება შეძლო, ირაკლი მოდებაძის ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ კი ესეც ვერ მოახერხა. ბოლო ტურში „ტავრიასთან“ უქართველოდ მოთამაშე ზაპოროჟიელებმა მხოლოდ ქულა მიითვალეს. მოდებაძეს ტრავმის გამო არ უთამაშია. მისი მომავალიც ჯერჯერობით გაურკვეველია. ზაპოროჟიეში დარჩენა ირაკლის ისედაც არ სურდა, მაგრამ ახლა მთავარი საზრუნავი ნატკენი ფეხის მოშუშებაა.

ლატვიაში ისევ „სკონტო“ გაპირველდა. ლევან კორლალიძემ მეორე ტაიმში ითამაშა, „სკონტომ“ კი დაძაბულ მატჩში 2:0 აჯობა „რიგას“.

ყაზახურ სუპერლიგაში ქართველები ძალიან მოიკოჭლებენ. ამბიძე-გამცემლიძე-გოგოლაძის „ბატისმა“ მორიგი სამარცხვინო მარცხი იწვნია და სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაილექა. ჩვენებურების გამამწარებელი „ეკიბასტუზეცი“ გამოდგა. ისე, უცნაურია, საერთოდ რატომ უნდა თამაშობდეს ქართველი ფეხბურთელი ყაზახური ფეხბურთის მაჩანჩალა „ბატისში“...

ქახა შალამბერიძე

გოჩა ჯამარაულმა (ბურთით) სეზონი გოლით დაასრულა

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	ნთ	შენიშვნა	თ	გ	ა
რუსეთი. პრემიერლიგა								
მიხეილ აშვეთია	სპარტაკ-ალანია	შ	ურალანი 0:1	90		12	0	14
ზურაბ მენთეშაშვილი	სპარტაკ-ალანია	შ	ურალანი 0:1	65	შეცვლაზე ითამაშა	9	0	14
დავით ნაკანი	ტორპედო	ს	ცსკა 0:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	6
ედიკ საჯაია	ტორპედო	ს	ცსკა 0:2	0	ტრანსფერზეა	0	0	6
ანზორ კალაძე	ურალანი	ს	სპარტაკ-ალანია 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	15
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
კახა ცხადაძე	ანჟი	ს	მეტალურგი 1:2	0	ტრავმირებულია	10	0	9
კახა მუავანაძე	ანჟი	ს	მეტალურგი 1:2	0	დისკვალიფიცირებული იყო	14	1	9
ზურაბ არჩვაძე	ლოკომოტივი ჩ.	შ	ბალტიკა 2:1	90		14	0	11
პაატა ჯინჭარაძე	ლოკომოტივი ჩ.	შ	ბალტიკა 2:1	90		17	5	11
თენგიზ სიჭინავა	კრისტალი	შ	ამკარი 0:2	45	შეცვალეს	15	0	14
ზვიად ჯელაძე	ბალტიკა	ს	ლოკომოტივი 1:2	90		13	0	5
თემურ გადელია	ბალტიკა	ს	ლოკომოტივი 1:2	0		1	0	5
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გოჩა ჯამარაული	მ. დონეცკი	ს	ობოლონი 3:0	90	1 გოლი, საგოლე პასი	22	4	3
გიორგი დემეტრაძე	მ. დონეცკი	ს	ობოლონი 3:0	48	1 გოლი, საგოლე პასი, შეცვალეს	15	8	3
ზურაბ ფოფხაძე	კრივბასი	შ	ჩერნომორეცი 2:4	0		21	0	12
ლევან მიქაძე	კრივბასი	შ	ჩერნომორეცი 2:4	70	შეცვალეს	12	0	12
ვასილ გიგიაძე	ტავრია	ს	მ. ზაპოროჟიე 1:1	0		27	10	9
შოთა ჩომახიძე	ტავრია	ს	მ. ზაპოროჟიე 1:1	0	განაცხადში არ იყო	3	1	9
გოჩა ტრაპაიძე	ტავრია	ს	მ. ზაპოროჟიე 1:1	0		14	0	9
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	ტავრია 1:1	0	ტრავმირებულია	21	3	15
შალვა აფხაზავა	არსენალი	ს	შახტარი 0:3	54	შეცვალეს	26	14	5
ფინეთი. ვეიკაუსლიგა								
გიორგი ნიკურაძე	კტპ	ს	ჰიკ 0:5	0	ტრავმირებულია	0	0	10
ლატვია. უმაღლესი ლიგა								
ლევან კორლალიძე	სკონტო	ს	რიგა 2:0	45	შეცვლაზე ითამაშა	5	1	1
თამაზ პერტია	არმა	ს	გაუია 0:3	0		10	0	8
ყაზახეთი. სუპერლიგა								
ბახვა ამბიძე	ბატისი	ს	ეკიბასტუზეცი 0:4	90		5	0	17
პაატა გამცემლიძე	ბატისი	ს	ეკიბასტუზეცი 0:4	90		7	0	17
კახა გოგოლაძე	ბატისი	ს	ეკიბასტუზეცი 0:4	90		7	1	17

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ 2003. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. 18-29 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

A ᯖᲒᲣᲤᲘ

II ᲢᲣᲠᲘ

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ 3:1 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ

0:1 დე გრეგორიო (27), 1:1 ლოპესი (58), 2:1 იეპესი (75), 3:1 ერნანდესი (85)

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ: ო. კორდობა, ი. კორდობა, იეპესი, ბედოია (არიაგა 77), გ. მარტინესი, მურილიო (ვალენტიერა 46), ველასკესი, ერნანდესი, ხ. ლოპესი, ბეჭერა, არისტიზაბალი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ: უტინგი, ოუფტონი, ჰეი, ნელსენი, დევისი, ვიკელიჩი, დე გრეგორიო, ელიოტი, ჰიკი, კილენი, კოვენი (სმელცი 83)

გაძევება: კილენი (69)

მსაჯი: კარლოს ბატრესი (გვატემალა)

16 241 მაყურებელი

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 2:1 ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ

1:0 პირესი (43პ), 1:1 ნაკამურა (60), 2:1 გოუუ (66)

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ: ბარტეზი, სანიოლი, გალანი, ბუმსონგი, სილვესტრი, როტენი (ვილტორდი 67), დაბო, პირესი, დაკური (პედრეტი 58), გოუუ, მარლე (ანრი 80)

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ: ნარაზაკი, იამადა, ცუბოი, მიამოტო, ალექსი, ჰ. ნაკატა, ინამოტო (კ. ნაკატა 74), ენდო, ნაკამურა (ოგასავარა 81), ტაკაჰარა, ოკუბო

გაძევება: სანიოლი (90)

მსაჯი: მარკ შილდი (ავსტრალია)

33 070 მაყურებელი

III ᲢᲣᲠᲘ

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ 0:1 ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ

0:1 ერნანდესი (68)

ᲘᲐᲪᲝᲜᲘᲐ: ნარაზაკი, იამადა, ცუბოი, მიამოტო, ალექსი, კ. ნაკატა, ჰ. ნაკატა, ოგასავარა (მაცუი 74), ენდო (ოკუ 85), ტაკაჰარა, ოკუბო (ნაგაი 66)

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ: ო. კორდობა, მერა, იეპესი, ბედოია, გ. მარტინესი, დიასი (ვალენტიერა 46), პატინო, ერნანდესი, ხ. ლოპესი, არტისტიზაბალი, არიაგა (ვალეხო 76)

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

24 500 მაყურებელი

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 5:0 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ

1:0 კაპო (17), 2:0 ანრი (20), 3:0 სისე (71), 4:0 ჟიული (90), 5:0 პირესი (90)

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ: ლანდრო, ტურამი, მეჯუში, დესაი, ლიზარაზუ, პედრეტი (დაბო 69), ჟიული, კაპო, ვილტორდი (პირესი 76), სისე, ანრი (მარლე 74)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ: უტინგი, დევისი, ზორიჩიკი (ოუფტონი 73), ჰეი (სმიტი 81), ნელსენი, ჰიკი, ბარტონი (ჯეკსონი 69), დე გრეგორიო, ელიოტი, ბუკენო�ტ, კოვენი

მსაჯი: მასუდ მორადი (ირანი)

36 842 მაყურებელი

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ	3	3	0	0	8:1	9
ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ	3	2	0	1	4:2	6
ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐ	3	1	0	2	4:3	3
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ	3	0	0	3	1:11	0

საფრანგეთი და კოლუმბია გავიდნენ ნახევარფინალში

B ᯖᲒᲣᲤᲘ

II ᲢᲣᲠᲘ

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ 1:0 ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

1:0 ჯერემი (90ა)

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ: კამენი, ჩატო (მეზაგი 78), სონგი, ჯერემი, მეტომო, დიუმბე, მბამი, ფოე, იდრისუ (ეობი 56), ჯემბა-ჯემბა (ატუბა 70), ეტოო

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ: რუშუ, დენიზი, ფათიჰი, სერკუთი, ერგუნი, ტორამანი, არსლანი (კარადენიზი 60), სელჩუკი, ბაშთურქი, ოკან ილმაზი (ნეჩატი 76), თუნქბაი (ᲞᲣსეკინი 89)

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

43 743 მაყურებელი

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ 1:0 ᲐᲨᲨ

1:0 ადრიანო (22)

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ: დიდა, ჟუანი, ლუსიო, ბელეტი (მაურინიო 70), კლებერი, რიკარდინიო, ემერსონი, კლებერსონი, ალექსი (გილი 74), რონალდინიო, ადრიანო (ილანი 90)

ᲐᲨᲨ: ჰოვარდი, ბერჰალტერი, ჩერუნდოლო, ბოკანეგრა, გიბსი (კონვი 79), ბეხლი, მასტროენი (ტველმანი 85), სტიუარტი, კლეინი (ლუისი 59), დონოვანი, მატისი

მსაჯი: ლუსილიო კორტეს კარდოზო ბატისტა (პორტუგალია)

20 306 მაყურებელი

კამერუნი	2	2	0	0	2:0	6
თურქეთი	2	1	0	1	2:2	3
ბრაზილია	2	1	0	1	1:1	3
აშშ	2	0	0	2	1:3	0

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚ-ᲨᲘ
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ 5:0 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲑᲘᲭᲘᲐ, ᲑᲘᲭᲘ!

ᲑᲐᲠᲢᲔᲖᲘ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲐᲬᲔᲕᲐᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲚᲐ

ახალზელანდიელებისთვის საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაში პატივიცა და კარგი გაკვეთილიც კუნძულელები ოთხი წლის წინ კონფედერაციის თასზე ევროპულ ნაკრებს პირველად შეხვდნენ. მაშინ გერმანიასთან ოდენ 0:2 დამარცხდნენ. ამჯერად სხვაობა გაცილებით სოლიდური გამოდგა და ეს არცაა გასაკვირი.

საკვირველი უფრო სხვა ფაქტი გახლდათ. წინა მატჩში, იაპონიის წინააღმდეგ, ჟაკ სანტინიმ მეორე შემადგენლობა ათამაშა, ახალზელანდიელებს კი, ფაქტობრივად, უძლიერესი თერთმეტეული დაახვედრა. ცხადია, ზინედინ ზიდანისა და კლოდ მაკელელეს გამოკლებით, რომლებიც პრემერადივიზიონის ჩემპიონობას ზეიმობდნენ.

კარში ფაბიენ ბარტეზი არ იდგა, რომელსაც ასევე ჰქონდა საზეიმო მიზეზი. „ფაბიენ ბარტეზს ვაჟი შეეძინა. მას ლოენი დაარქვეს. ყრმა სამ კილოს იწონის და სიგრძით ნახევარი მეტრია“ — ეს ამბავი „სენ დენიზე“ შეკრებილ 37 ათას გულშემატკივარს ბავშვის დაბადებიდან 16 წუთში ამცნეს.

მოკლედ, სამხიარულო ფრანგებს არ აკლდათ. იქით ზიდანი და მაკელელე, აქეთ ახალშობილი, მოედანზე კი ლუკმა-ლუკმა მისართმევი მეტოქე.

აბა, ზელანდიას რა დაზვერვა და მოსინჯვა სჭირდებოდა. მასპინძლებმა დასაწყისშივე ალყა-ალყა აკუწეს სტუმართა დაცვა.

ტაიმის მესამედი მილეულიყო, ოლივიე კაპომ საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთი რომ მიიღო. ოსერელმა ისეთი ძალით დაჰკრა, მაიკ უტინგს მოგერიება არც უცდია და ანგარიშიც გაიხსნა.

მეორე გოლი „მეთოფე“ ტიერი ანრიმ გაიფორმა. საჯარიმოში ლუდოვიკ ჟიულის ჩაწოდებულ ბურთს თავი შეაგება და სხვაობა სამიოდ წუთში ორამდე გაიზარდა.

ეს რაც შეეხება მალევე გატანილ გოლებს, მანამდე კი ზელანდიელებსაც ჰქონდათ ერთი ხელსაყრელი მომენტი. წინწასული ლილიან ტურამი (ეგებ მეც ვიხეიროო) უკან დროულად ვერ დაბრუნდა და მისგან მიტოვებული კოვენი მიკაელ ლანდროსთან პირისპირ გავიდა. ზელანდიელი ფორვარდის უხეირო დარტყმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

ტაიმის შუაწელში ტიერი ანრიმ მეორე, ამჯერად ბრწყინვალე გოლი შეაგდო. ჰაერში „წამოწვა“ და მაკრატელა დაჰკრა. ირანელმა მსაჯმა მასუდ მორადიმ ანრის გაუცინა და დაუსტვინა, დარტყმამდე მეტოქისთვის ხელი გიკრავს, ამიტომაც დაგაჯარიმე და გოლიც არ ჩაგითვალეო.



REUTERS ბარი ზიდანი

ტიერი ანრიმ ორჯერ კი გაიტანა, მაგრამ მხოლოდ ერთი ჩაუთვალეს

ფრანგებს დიდად არ უდარდიათ, რადგან რამდენსაც მოისურვებდნენ, იმდენს გაიტანდნენ.

მასპინძლები მეოთხედი ძალით თამაშობდნენ და ამ შემთხვევაშიც აშკარად დაჩაგრეს ახალფეხადგმული ზელანდიელები.

გულშემატკივრები მორიგ გოლს საკმაოდ დიდხანს ელოდნენ. მეორე ტაიმის მეოცე წუთზე „სენ დენიმ“ კვლავ ტაში დაუკრა. „მეთოფე“ ანრიმ ჩვეული სისწრაფით ფლანგზე ჩაირბინა და კარის წინ ჯიბრილ სისეს დაუგორა, რომლის დარტყმულიც უზადო გამოდგა — 3:0.

ფრანგებმა ოცწუთიანი შესვენება „გამოაცხადეს“ და ბოლო ორი გოლი უკვე დამატებულ დროში გაიტანეს. ჯერ ლუდოვიკ ჟიულიმ გააოთხა, შეცვლაზე შესულმა რობერ პირესმა კი ხუთი თითი ასწია და მატჩიც დასრულდა.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 0:1 ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲐ

ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲘᲐᲛᲝᲢᲝᲒᲐ

ᲖᲘᲙᲝᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲣᲘᲦᲒᲚᲝᲒᲐ

მეორე ტურში კოლუმბიამ ახალ ზელანდიას სძლია, იაპონია კი მასპინძლებთან დამარცხდა.

ზელანდიელები სამხრეთ-ამერიკელებს გვარიანად გაუძალიანდნენ. მათ მეორე ტაიმში კაცი გაუძევეს და კოლუმბიას ამის შემდეგლა დანებდნენ.

ფრანგებს იაპონელები შეებრძოლნენ. ევროპის ჩემპიონები პირესმა საეჭვო პენალტით დააწინაურა. სტუმრებმა გაქვითვაც შეძლეს და დამხდურებს დაახლოებით ათწუთიანი შტურმისმაგვარიც მოუწყვეს. ზიკოს შეგირდები ფრეს უთუოდ იმსახურებდნენ, თუმცა დაცვის ერთი შეცდომა მარცხად დაუჯდათ.

მესამე ტურის წინ ერთი ნახევარფინალისტი გარკვეული იყო — საფრანგეთი, მეორე კი კოლუმბიასა და იაპონიას შორის მატჩს უნდა გამოეკვლინა.

აზიელებს ნახევარფინალში გასაღწევად ქულაც ჰყოფნიდათ. სამხრეთამერიკელებს — მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ, რადგან თანაბარქულიანებს შორის მეორე ადგილს ბურთების უკეთესი სხვაობის მქონე გუნდი დაიკავებდა.



REUTERS სერგ ეტიენნიდან

ჯოვანი ერნანდესს გოლი ხორხე ლოპესმა ასე მიულოცა

ამ მაჩვენებლით იაპონია კოლუმბიას სჯობდა. აქედან გამომდინარე, ზიკოს შეგირდებს მცირე უპირატესობა უკვე ჰქონდათ და მატჩის სათავისოდ აწყობაც შეეძლოთ.

პირველ ტაიმში მეტოქეებმა არ გარისკეს. იაპონელები კოლუმბიელთა უკბილო შეტევებს იოლად იგერიებდნენ. სამხრეთამერიკელები დიდი ძალებით წინსვლას ვერ ბედავდნენ, რადგან ჰიდეტოში ნაკატას და მის ძმათა სწრაფი კონტრიერიშების ამბავი კარგად იცოდნენ.

ტაიმის შუაწელში ალექსმა მოახერხა მახვილი კუთხიდან კარში დარტყმა. კოლუმბიელთა მეკარე ოსკარ კორდობა ბურთს ადგილზე დაუხვდა.

შესვენებამდე გუნდებმა თითო საგოლე მომენტი კიდევ გაცვალეს. ვიქტორ არისტიზაბალმა სეიგო ნარაზაკის სიფხიზლე შეამოწმა, ტაიმის მიწურულს იოშიტო ოკუბოს დაკრულს ოსკარ კორდობა დაუხვდა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე იაპონელებმა მეტოქის მოხრჩობა გადაწყვიტეს და ნაცვლად სასურველი ანგარიშის შენარჩუნებისა, კოლუმბიელთა საჯარიმოში დროებით ჩასახლდნენ. ათწუთიან მონაკვეთში სამხრეთამერიკელები ორჯერ ანერვიულეს. ჯერ ოგასავარამ გაისროლა სახიფათოდ, მერე ნაოჰირო ტაკაჰარა იყო ახლოს მიზანთან. მახვილი კუთხიდან მისი დარტყმული ძელმა უკუაგდო.

შეტევაში გართული იაპონელების დასჯა კოლუმბიელებს შეეძლოთ. მიამოტოს შეცდომით არისტიზაბალმა ისარგებლა, ნარაზაკის პირისპირაც აღმოჩნდა და ღონივრადაც დაჰკრა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა და ბურთი მოიგერია.

აზიელები მოუსვენრად და გულმოდგინედ განაგრძობდნენ მოწინააღმდეგეზე ზეწოლას, თითქოს გამარჯვება კოლუმბიელებს კი არა, მათ უფრო სჭირდებოდათ.

ოსკარ კორდობას კართან ხიფათი ტრიალებდა და სტადიონზე შეკრებილ 25-ათასამდე მაყურებელიც იაპონელთა გოლის მოლოდინში იყო, მაგრამ პირიქით მოხდა. კოლუმბიელებმა ერთადერთი შანსი გამოიყენეს.

ზიკოს ნაკრები მიამოტოს შეცდომამ იმსხვერპლა. ამჯერად მცველის უხეირო პასი ედუარდო არიგამ ჩაჭრა, საჯარიმოში შერბენილ ჯოვანი ერნანდესს მიაწოდა და მასაც ნარაზაკისთვის გატანა არ გასჭირვებია.

იაპონელებს გასათანაბრებლად ბლომად დრო ჰქონდათ. ნაოჰირო ტაკაჰარამ თავის წილად ორჯერ სცადა ოსკარ კორდობას კარში გოლის გატანა. ერთხელ ყველაფერი ფრიადზე შეასრულა, მზაკვრულადაც დაარტყა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. მეორედ, უკვე დამატებულ დროში, მისი თავური კოლუმბიელთა მეკარემ მოიგერია.

არაერთი მცდელობის მიუხედავად, ლაღად მოთამაშე იაპონია კონფედერაციის თასს დაემშვიდობა. თავად მწვრთნელი, ცხადია, დანაღვლიანებული იყო: „ჩვეულებისამებრ, ჩემი ბიჭები სანახაობრივად საამო ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ იღბალი არ სწყალობთ. წარმატების მისაღწევად ბევრი შრომაა საჭირო, დამარცხებისთვის კი ერთი მიამიტური შეცდომაც კმარა. სწორედ ასეთი შეცდომის გამო წავაგეთ. საწყენია, შეჯიბრს რომ გამოვეთიშეთ, მაგრამ ფეხბურთელებმა ამ ტურნირზე გამართულ სამ მატჩში საკმაო გამოცდილება შეიძინეს“.

კოლუმბია ნახევარფინალში კამერუნს შეხვდება, რომელმაც თურქებს ბოლო წუთზე გატანილი თერთმეტმეტრიანით სძლია.

ᲛᲐᲪᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

იქ, ბერნაბეუზე

ეს საწყალი, საწყალი, საწყალი ბასკები

REUTERS მაგრიდიდან

რეალი — ბილბაო. სეზონის წინ რონალდომ დაიჭადნა, 25 გოლს გავიტანო. ორი გოლი დაყლდა, თუმც „რეალმა" ჩემპიონობა სწორედ მისი ორი გოლით მოიპოვა

ესპანეთი

პრიმერა დივიზიონი XXXVIII ტური

რეალი 3:1 ბილბაო

1:0 რონალდო (9), 1:1 ალკისა (36), 2:1 რობერტო კარლოსი (45), 3:1 რონალდო (61)

რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო (პავონი 90), ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, გუტი, ზიდანი (სოლარი 89), რაული, რონალდო (მორიენტესი 82)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლაკრუსი, ლუის პრიეტო, იესტე (ოსკარ ვალესი 74), ალკისა, დელ ორნო, გურპეგი, ესკერო (არიაგა 68), ხ. ეჩებერია (ტიკო 69), ურსაისი

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: იერო, გურპეგი, სალგადო, გუტი

მსაჯი: რამირეს დომინგესი

60 000 მაყურებელი

სოსიედადი 3:0 ატლეტიკო

1:0 კოვაჩევიჩი (51), 2:0 დე პედრო (55), 3:0 ნიჰათი (73)

სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (გაბილონდო 67), კარპინი (ტაიფუნი 78), კოვაჩევიჩი, არანბურუ, ნიჰათი (დე პაულა 79)

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

ატლეტიკო: ბურგოსი, ოტერო, კოლოჩინი, გარსია კალვო, სერხი, ნაგორე, მოვილია, აგილერა, ლუის გარსია (ხორხე 64), ფ. ტორესი (ხავი მორენო 69), ხოსე მარი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

31 400 მაყურებელი

დეპორტივო 2:1 ესპანიოლი

0:1 როხერი (12), 1:1 მაკაი (74), 2:1 ლუკე (75)

დეპორტივო: დანი მალო, ფორეე ანდრადე, კაპდევილა, დონატო (ჯოროვიჩი 44), ექტორი, სერხიო (ვალერონი 61), დუშერი, მაკაი, ამავისკა, ვიქტორი (სკალონი 37), ლუკე

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, ტორიჩელი, ხარკე, ველამასანი, მორალესი, როხერი (ოსკარი 63), ბოგოსიანი (ალექს ფერნანდესი 63), ფრედსონი, მილოშევიჩი (ტამუდო 74)

მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე

გაფრთხილება: დავიდ გარსია, დუშერი, ტორიჩელი

მსაჯი: ესკინას ტორესი

18 000 მაყურებელი

სევილია 0:3 ვალენსია

0:1 აიმარი (20), 0:2, 0:3 ხუან სანჩესი (29, 54)

სევილია: კაბალიერო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, ოსკარი, ნიეგუსი, გალიარდო (დანიელი 63), ვიქტორ სალასი, მარკოს ვალესი, კასკერო (პოდესტა 46), რეიესი, ანტონიტო (ტოედტლი 71)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

ვალენსია: პალოპი, პელეგრინი (დე ლოს სანტოსი 46), აიალა, მარჩენა, რეველიერი (სორიანო 64), დავიდ ნავარო, ბარხა (რედონდო 68), რუფეტე, აიმარი, ხუან სანჩესი, ბორხა

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ბორხა

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

27 000 მაყურებელი

ბარსელონა 2:0 სელტა

1:0 სორინი (6), 2:0 სავიოლა (50)

ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი, პუიოლი, ფ. დე ბური, სორინი (მოტა 45), კოკუ, მენდიეტა, გაბრი, ოვერმარსი (ხერარდი 80), კლუივერტი, სავიოლა (დანი 76)

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

სელტა: პინტუ, ველასკო (ხესული 57), კასერესი, ანხელი, ხუანფრანი (სილვინიო 38), სერხიო, ჯოვანელა, მოსტოვოი, ედუ, ლუჭანი, გუსტავო ლოპესი (კოირა 54)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაძევება: ანხელი (26), კლუივერტი (26)

მსაჯი: მუნის ფერნანდესი

48 507 მაყურებელი

ვილიარეალი 1:4 ბეტისი

1:0 გიარე (13), 1:1 დანი (25), 1:2 ხოაკინი (35), 1:3 დანი (57), 1:4 ხოაკინი (78)

ვილიარეალი: უნანუა, გალვანი, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა, კიკე მედინა, ინაკი, ხორხე ლოპესი (ვერცა 68), ფარინოსი, ფონტი (კასეხეს 62), დე ნიგრისი, გიარე (ხისკო 75)

მწვრთნელი: ბენიტო ფლორეს

ბეტისი: პრატსი, მინგო, ხუანიტო, ბელენგერი, ფერნანდო (ლუის ფერნანდესი 61), კანიასი, კაპი, იტო, ბენეგამინი (ვარელა 46), დანი (კალადუ 72), ხოაკინი

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: უნანი, ხავი ვენტა, ლუის ფერნანდესი, კალადუ

მსაჯი: უნდიანო მალენკო

10 000 მაყურებელი

მალიორკა 1:0 მალაგა

1:0 ტუნი (90)

მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კორტესი (ოლაიზოლა 76), პოლი (მიგელ სოლერი 76), ნადალი, იბაგასა, ნოვო, რიერა, მარკოსი, კარლოსი (ტუნი 80), პანდიანი

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

მალაგა: არნაუ, ლიტოსი, ისნატა, ვალკარსე, ფ. სანსი, ხოსემი, პერიკო (ადორი 86), მანი (დოპიკო 73), მიგელ ანხელი, ლეკო (ალბერტო 65), კანაბალი

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

გაფრთხილება: მარკოსი, ვალკარსე

მსაჯი: რუბინოს პერესი

8 000 მაყურებელი

ალავესი 1:1 ვალიადოლიდი

0:1 აგანსო (37), 1:1 პაბლო (60)

ალავესი: ხუან პაბლო, კარმონა (ჯელი 50), ტელიესი (დეხიო 70), ლორენსი, აბელარდო, ტომიჩი (მარა 52), პაბლო, ასტუდილიო, ლ. ელგერა, რუბენ ნავარო, ივან ალონსო

მწვრთნელი: ჩუჩი არანგურენი

ვალიადოლიდი: ბიზარი, გასპარი, ტორეს გომესი, ოსკარ სანჩესი, ალვარო (აგუსტინი 67), კოლსა (ხავი ხიმენესი 61), კამინერო, მორე, აგანსო (პაბონი 72), ოსკარი, ჯონათანი

მწვრთნელი: ხოსე პეპე მორე

გაფრთხილება: გასპარი

მსაჯი: მორენო დელგადო

6 656 მაყურებელი

რაიო ვალეკანო 0:0 უელვა

რაიო ვალეკანო: ა. ეჩებერია (სეგურა 58), დე კინტანა, გრაფი, პაბლო სანსი, მარიო (ფ. მარკესი 46), მაინსი, მიჩელი (ლუის სემბრანოსი 46), ირინეი, ელდერი, პერგონი, ბოლო

მწვრთნელი: ანტონიო ირიონდო

უელვა: ლუკე, ესპინოლა, მერინო, პერნია, ხავი გარსია, იკერ ბეგონია, ვიკეირა, დავიდ გალიეგო (ბენიტესი 66), კიიკუ (ფოაოზინიო 55), რაულ მოლინა (ხისკო 46), ხოსე მარი

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

გაფრთხილება: დე კინტანა, ხოსე მარი, პერნია

მსაჯი: კარმონა მენდესი

5 000 მაყურებელი

რასინგი 2:3 ოსასუნა

0:1 მუნიოსი (20), 1:1 ხავი გერერო (28), 1:2 ბრიტი (35), 1:3 ალოიზი (73), 2:3 ხავი გერერო (90)

რასინგი: ბორხა, კორომინა, მორა, ხუანმა, სეზარ პორასი, მატეო, ბენაიუნი (ნაჩო 69), მატაბუენა (ჯონათანი 80), ბოდიმო (ჩიკი 51), ხავი გერერო, მუნტისი

მწვრთნელი: ჩუჩი კოსი

ოსასუნა: სანსოლი, იანგუსი, კრუჩაგა, ხოსეჩო, რივეირო, ანტონიო ლოპესი, პუნიალი, პაბლო გარსია (პალასიოსი 71), მუნიოსი, ვალდო (მორალესი 51), ბრიტი (ალოიზი 55)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: მატაბუენა, სანსოლი, ვალდო, მუნიოსი, მუნიოსი

გაძევება: მუნიოსი (88)

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

9 600 მაყურებელი

ესეც ესპანური პრიმერა. ახლა უკვე ნაღდად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპაში სეზონი დასრულდა.

ბოლო ტურში ისე მოხდა, რომ მხოლოდ ორი მატჩის შედეგი იყო მნიშვნელოვანი, იმ მატჩებისა, „კამპ ნოუზე" და „სანტიაგო ბერნაბეუზე" რომ გაიმართა. თუმც მიმოხილვა იმ თამაშით დავიწყოთ, რომელიც უმთავრესი იქნებოდა, „რეალს" რომ ვერ მოეგო.

სან სებასტიანში იქაურებმა 3:0 მოუგეს „ატლეტიკოს", თუმც სასწაულის იმედი ნაკლებად ჰქონდათ. ეგებ ამიტომაც იყო, „სოსიედადი" მაინცდამაინც ხალისიანად რომ არ თამაშობდა და ანგარიშის გახსნა მეორე ტაიმშიღა მოახერხა — სერბმა დარკო კოვაჩევიჩმა საამსეზონო მეოცე გოლი მიითვალა.

ჯანიც გავარდესო, ალბათ ესეც გაიფიქრეს მასპინძლებმა, ჩემპიონობით თუ ვერა, თამაშით მაინც ვისიამოვნოთო და კოვაჩევიჩის გოლის შემდეგ უფრო ლაღად შეუტიეს. გალაღებას კიდევ ორი გოლი მოჰყვა. ხავი დე პედროსი და თუჭრი ნიჰათისა, თუმც ამ გოლებს და საერთოდ გამარჯვებას, დიდი სიხარული რომ არ მოჰყვებოდა, მიხვდებოდით.

და თუ „სოსიედადი" „რეალის" დამარცხებაზე ოცნებობდა, „ბარსელონას" პირიქით, „რეალის" გამარჯვება ეწადა, ამ შემთხვევაში გადიოდა უეფას თასზე. ისე, „სოსიედადს" და „ბარსელონას" „რეალის" ფრეც აწყობდათ.

„ბარსელონამ" თავიდანვე შეუტია, „სელტას" თავი ჩემპიონთა ლიგაში დაეგულებინა და მოვალეობის მოხდისთვისღა თამაშობდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ კატალონიელები გალისელთა საჯარიმოს მიეჯაჭვნენ. გოლიც სწრაფად გავიდა, ხუან პაბლო სორინმა თავური დაჰკრა.

გოლმა არაფერი შეცვალა, „ბარსა" ისევ უტევდა, „სელტას" სახლში დროზე დაბრუნება უნდოდა. შესვენების მერე ერთი გოლიც ხავიერ სავიოლამ გაიტანა და ეს იყო და ეს. თუმც ერთი აღსანიშნავი ამბავიც ვახსენოთ — პირველ ტაიმში ანხელი და კლუივერტი გაამეცეს.

ამგვარად, „ბარსელონას" სერია არ შეწყდა — აქამდე ერთი სეზონიც არ ყოფილა, გუნდს ევროთასზე არ ეთამაშოს.

და „სანტიაგო ბერნაბეუ", რომელზე შეკრებილი ხალხი მოგებას ითხოვდა და „რეალმა" მოიგო კიდეც.

კასტილიელთა სიძულვილი, უეფას თასზე გასვლის სურვილი და გარდაცვლილი პრეზიდენტის ხსოვნა აიძულებდა „ბილბაოს", თავი დაედო და თამაში არ წაეგო. არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ გინდ „რეალი", გინდ „ბილბაო" არც თავს დაზოგავდა და არც მეტოქეს. ხალხს ლამაზი თამაშის მოლოდინიც ჰქონდა.

მე-9 წუთი: მოხეტიალე პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ ბურთი მარცხენა ფლანგზე გადაიტანა, იმავე ფლანგზე წინ რობერტო კარლოსი მონახა, ბრაზილიელი გაიქცა და შორეული ძელისკენ ჩააწოდა, სადაც ბურთს მისი თვისტომი რონალდო ელოდა და დაუცველ კარში გაიტანა.

ორიოდ წუთში რაულს რომ ეხეირა, ეგებ თამაშს აზრიც დაჰკარგოდა — გუტიმ „რეალის" სიმბოლო მეკარეს პირისპირ შეჰყარა.

მეოცე წუთისთვის რაულ ველავ პირისპირ გავიდა, ესეც ეგიტანა, არანსუბიამ აუღო. იქამდე კი რამდენიმე სახიფათო მომენტი კასილიასის კართანაც შეიქმნა.

36-ე წუთზე დაჰქუხა: ალკისამ ბურთი მიიღო. არავინ შებრძოლებია, ისე მიუახლოვდა საჯარიმოს. კარამდე ოცი მეტრი რჩებოდა. ბასკმა პასის მიცემას კარში დარტყმა ამჯობინა და — 1:1.

საპასუხო გოლმა „რეალი" არია. მადრიდელები თითქოს დამძიმდნენ და არანსუბიას ვედარ აწუხებდნენ. ტაიმის დასრულებამდე წამები რჩებოდა.

პირველი ტაიმის მეორე წამატებული წუთი: რონალდომ ბურთი ბასკთა საჯარიმოს ხაზთან მიიღო და მაშინვე წააქციეს. საჯარიმოს შესრულება რობერტო კარლოსმა ითავა და, ცხადია, წარმოიდგინეთ, როგორი საშინელი ძალითაც დაარტყამდა — 2:1.

შესვენების მერე „რეალი" ისევ მიაწვა. რომელი ერთი მომენტი გამოვარჩიოთ: რონალდომ საგოლედ გაიყვანა ზიდანი, მაგრამ ფრანგს დარტყმა წაუხდა, რონალდომ და რაულმა კედელი გაითამაშეს, ბრაზილიელი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ არც დარტყმა გამოუვიდა და დამატებაზეც ვერ ივარგა. ფიგუ ურცხვად წააქციეს საჯარიმოში, მაგრამ მსაჯმა საპენალტედ არ ჩასტვინა...

62-ე წუთი: ზიდანმა ბრწყინვალე პასი მისცა რონალდოს და ესეც რომ ვერ გაეტანა, რაღა რონალდო იქნებოდა — 3:1.

ასე და ამგვარად, „რეალმა" 29-ედ მოიგო ესპანეთის ჩემპიონობა.

ბიორგი დარჯანია

სეგუნდა დივიზიონი XLI ტური

სალამანკა 3:1 ხეტაფე

1:0 ესკუდა (42), 2:0 კაკია (64), 2:1 ხუან კარლოსი (72), 3:1 რობერტო (79)

ხერესი 5:3 ბადახოსი

1:0, 2:0 ზარატე (15, 17), 2:1 ლეანდრო (32), 3:1 კალე (43), 4:1 კაჩორო (54), 4:2 ლეანდრო (60), 4:3 ხავი მორო (74), 5:3 დე პინო (83)

მურსია 5:0 ფერროლი

1:0 რამოსი (16ს.კ.), 2:0, 3:0 დ. კარანკა (40, 45), 4:0 ისმაელი (69), 5:0 ლორეტო (77)

ელჩე 1:1 ნუმანსია

1:0 ნინო (57), 1:1 კუელიარი (70)

კორდობა 1:0 ოვიედო

1:0 მოიზესი (48)

სპორტინგი 0:0 ტერასა

პოლი ეხიდო 0:0 სარაგოსა

ალბასეტე 0:1 ალმერია

0:1 ლუნა (4)

ლეგანესი 0:1 ეიბარი

0:1 გარიტანო (6)

ლევანტე 3:4 კომპოსტელა

1:0 ლიმონესი (18), 2:0 პინილიოსი (41ს.კ.), 2:1 ფაბიანო (63ბ), 2:2 კაბარკოსი (72), 3:2 რივეირა (74), 3:3 კაბარკოსი (78), 3:4 მაიკელი (83)

ტენერიფე 0:0 ლას პალმასი

მურსია	41	23	10	8	59:21	79
სარაგოსა	41	20	12	9	53:37	72
ალბასეტე	41	17	20	4	51:28	71
ლევანტე	41	15	17	9	57:43	62
ლას პალმასი	41	15	16	10	49:42	61
ხერესი	41	16	13	12	51:52	61
სალამანკა	41	13	18	10	41:31	57
ტენერიფე	41	12	18	11	52:39	54
ნუმანსია	41	12	16	13	47:48	52
კომპოსტელა	41	13	13	15	53:56	52
ხეტაფე	41	13	13	15	51:54	52
ეხიდო	41	12	15	14	35:44	51
ელჩე	41	12	14	15	4848	50
სპორტინგი	41	10	20	11	41:41	50
კორდობა	41	12	13	16	35:37	49
ტერასა	41	10	19	12	39:46	49
ალმერია	41	12	13	16	53:62	49
ლეგანესი	41	11	15	15	44:49	48
ეიბარი	41	10	17	14	31:38	47
ფეროლი	41	11	13	17	40:59	46
ოვიედო	41	9	13	19	36:57	40
ბადახოსი	41	10	8	23	34:68	38

საბოლოო ცხრილი

№		სულ: თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	შინ: თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	სტუმრად: თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	**რეალი**	38	22	12	4	86:42	44	78	19	13	5	1	52:22	30	44	19	9	7	3	34:20	14	34
2	სოსიედადი	38	22	10	6	71:45	26	76	19	13	6	0	41:18	23	45	19	9	4	6	30:27	3	31
3	დეპორტივო	38	22	6	10	67:47	20	72	19	13	3	3	41:18	23	42	19	9	3	7	26:29	-3	30
4	სელტა	38	17	10	11	45:36	9	61	19	10	6	3	29:15	14	36	19	7	4	8	16:21	-5	25
5	ვალენსია	38	17	9	12	56:35	21	60	19	10	3	6	30:15	15	33	19	7	6	6	26:20	6	27
6	ბარსელონა	38	15	11	12	63:47	16	56	19	10	5	4	43:24	19	35	19	5	6	8	20:23	-3	21
7	ბილბაო	38	15	10	13	63:61	2	55	19	11	3	5	30:20	10	36	19	4	7	8	33:41	-8	19
8	ბეტისი	38	14	12	12	55:52	3	54	19	9	6	4	30:20	10	33	19	5	6	8	25:32	-7	21
9	მალიორკა	38	14	10	14	49:56	-7	52	19	7	5	7	25:33	-8	26	19	7	5	7	24:23	1	26
10	სევილია	38	13	11	14	38:39	-1	50	19	8	7	4	24:19	5	31	19	5	4	10	14:20	-6	19
11	ოსასუნა	38	12	11	15	40:48	-8	47	19	8	3	8	22:24	-2	27	19	4	8	7	18:24	-6	20
12	ატლეტიკო	38	12	11	15	51:56	-5	47	19	8	5	6	28:25	3	29	19	4	6	9	23:31	-8	18
13	მალაგა	38	11	13	14	44:49	-5	46	19	8	7	4	29:21	8	31	19	3	6	10	15:28	-13	15
14	ვალიადოლიდი	38	12	10	16	37:40	-3	46	19	9	4	6	23:17	6	31	19	3	6	10	14:23	-9	15
15	ვილიარეალი	38	11	12	15	43:52	-9	45	19	8	5	6	24:21	3	29	19	3	7	9	19:31	-12	16
16	რასინგი	38	13	5	20	54:64	-10	44	19	9	2	8	29:22	7	29	19	4	3	12	25:42	-17	15
17	ესპანიოლი	38	10	13	15	48:54	-6	43	19	8	6	5	30:23	7	30	19	2	7	10	18:31	-13	13
18	უელვა	38	8	12	18	35:61	-26	36	19	5	8	6	24:24	0	23	19	3	4	12	11:37	-26	13
19	ალავესი	38	8	11	19	38:68	-30	35	19	5	8	6	18:20	-2	23	19	3	3	13	20:48	-28	12
20	რაიო	38	7	11	20	31:62	-31	32	19	4	8	7	17:24	-7	20	19	3	3	13	14:38	-24	12

თანაბარქულიანი გუნდებს შორის უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთესი შედეგის მქონეს

ბომბარდირები

მაკაი (დეპორტივო)	29
რონალდო (რეალი)	23
ნიჰათი (სოსიედადი)	23
კოვაჩევიჩი (სოსიედადი)	20
კლუივერტი (ბარსელონა)	17



REUTERS მადრიდიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრალი ორგია

ჭეშმარიტად — ეს დიდი პრიმერა იყო. ესპანეთის ჩემპიონატს, მოგეხსენებათ, დაძაბულობა არ აკლია, მაგრამ ამგვარი საჩემპიონო შეხლა-შემოხლა კარგა ხანია, აღარ უნახავთ ესპანელებს. 2002-03 წლების პრიმერადივიზიონი უკვე საბოლოოდ ჩაბარდა ისტორიას, რათა სამომავლო გარჩევა-დებატებში უამრავი კომპეტენტური და არაკომპეტენტური საფეხბურთო ენაყბა გაცვდეს მასზე ლაპარაკში. ჩვენ კი არც გამარჯვებულს ვასამართლებთ და არც დამარცხებულს. კასტილიელთა, ბასკთა, გალისიელთა, კატალონიელთა თუ ანდალუზიელთა გულშემატკივრებო, დროებით მაინც გადავდოთ გვერდით ვიწრო კუთხური ინჩასობა და ესოდენ მძიმე პრიმერას ღირსეული გაცილება მოვუწყოთ, როგორც ნაღდ კაბალიეროებს შეეფერებათ და როგორიც მადრიდელთა ამჟამინდელი საჩემპიონო სიხარულია.

ორასი ათასზე მეტი თეთრად შეფერილი რეალისტი ზეიმობდა სიბელესის შადრევანთან საყვარელი გუნდის 29-ე პირველობას ტრადიციული სამეფო დროშების ფრიალითა და „CAMPEON, CAMPEON“ შეძახილებით. უზომოდ ბედნიერმა ხალხმა უკვე „რეალ“ — „ბილბაოს“ გადამწყვეტი მატჩის საფინალო სასტვენამდე დიდი ხნით ადრე შეივსო სიბელესის მიმდებარე ტერიტორია და, ძველი დროის იბერიელი წარმართებივით, ზიდანისა და რონალდოს წარწერიანი მაისურებით დამშვენებულებმა საკრალური შადრევნის გარშემო გრანდიოზული მსვლელობა მოაწყო. ფანატიკურ სიყვარულს ერთიან აფეთქებამდე მცირე რამ წამიღა აკლდა და ეს მცირედი წამი სრული 30 წუთი გამოდგა — ზუსტად იმდენი დრო, რაც მადრიდის „რეალის“ გამარჯვებულ-გაჩემპიონებულ შემადგენლობის ორსართულიან ავტობუსს „სანტიაგო ბერნაბეუდან“ სიბელესამდე არსებული სამკილომეტრიანი მანძილის დასაფარად დასჭირდა.

პირველნი ინჩასებს იერო და რაული წარუდგნენ, შემდეგ კი მთელი სამეფო გუნდი აღმოცენდა აღტაცებული წარმართების წინაშე. ფეხბურთელებს 29-ნომრიანი მაისურები ემოსათ მშობლიური გუნდის ჯერჯერობით ბოლო მიღწევის აღსანიშნავად, სამეფო მხარბეჭზე კი ესპანურ-ბრაზილიურ-ფრანგული გვარ-სახელის ნაცვლად ერთადერთი მრავლისმეტყველი სიტყვა, „CAMPEON“ ჰქონდათ ამოტვიფრული.

განსაკუთრებული პატივი მატჩის გმირს, რონალდოს ხვდა წილად და რომ არა ქალაქის თავკაცთა სპეციალური ბრძანება, კასტილიური გამარჯვების წყაროში ხანგრძლივი და ბედნიერი ჩაყურყუმალავება არ ასცდებოდა. საქმე ისაა, რომ წინარე სახელოვან სეზონთაგან განსხვავებით, წლეულს მადრიდის მამებმა ჩემპიონობით გაგიჟებულ ინჩასებსა და ფეხბურთელებს უსაფრთხოების წესების მომიზეზებით შადრევანში ხტომა-ჭყუმპალაობა აუკრძალეს და სიბელესის მოედანს წესრიგის დამცველთა დიდი რკალი შემოასალტეს. ამრიგად, ფლორენტინო პერესის გუნდმა ძველ-ეშხიანად ვერ გამოსცადა საჩემპიონო ემოციები, თუმცა ამან საქეიფო განწყობა ვერ წაახდინა. უწყალო პოლიციის გამო მაშვრალი „რეალი“ დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში გაეშურა და დიდ მადრიდულ ორგიას მისცა თავი. კასტილიური ინჩასობაც გათენებამდე ღრეობდა. იქამდე კი, სანამ პირნეული ღვინო ჩემპიონებს გონებას დაუბინდავდათ, გამარჯვებით გახარებულმა რამდენიმე ლირსეულმა სენიორმა მედიას აზრი გაუზიარა.

ვისენტე დელ ბოსკე, „რეალის“ მწვრთნელი: „საშინლად გადატვირთული სეზონის დასასრულს შესანიშნავი გამარჯვება მოვიპოვეთ. ვამაყობ ჩემი გუნდით. „რეალის“ მიღწევათა რიცხვს კიდევ ერთი ჩემპიონობა შევმატეთ.“

რონალდო: „ყველაფერი კარგად დამთავრდა და ძლიერ გახარებულები ვართ, ვოცნებობდი წლევანდელი პრიმერადივიზიონის მოგებაზე. როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, აქაც ორი გოლი გავიტანე. ჩემთვის დიდებული სეზონი იყო. ახლა ჩემპიონთა ლიგის მოგებაღა დაგვრჩა.“

მიჩელ სალგადო: „სამი ბრწყინვალე ტიტული მოვიგეთ, ესპანეთის ჩემპიონობა, ქვეყნის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი. თუ მოვინდომებთ, უფრო მეტის მიღწევასაც შევძლებთ.“

პლასიდო დომინგო, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი საოპერო მომღერალი და „რეალის“ დიდი გულშემატკივარი: „უდიდესი მღელვარება ვიგრძენი, როდესაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალის“ ჰიმნი აჟღერდა. ჩვენთვის „ბილბაოს“ დამარცხება ბევრს ნიშნავდა და ამას მივაღწიეთ კიდეც. ვფიქრობ, ეს დამსახურებული გამარჯვებაა.“

ხორხე ვალდანო, „რეალის“ სპორტული დირექტორი: „ძალიან კარგი სეზონი იყო. ბევრი საფეხბურთო ჯილდო მოვაგროვეთ, რაც, ჩემი აზრით, მხოლოდ შექების ღირსია.“

ლადო ხომერიკი



რონალდო 17 წლის ასაკიდან უმაღლეს ლიგებში თამაშობს. ბრაზილია, ჰოლანდია, ესპანეთი, იტალია, ისევ ესპანეთი. ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მოიგო ბრაზილიის, ესპანეთის, თასების მფლობელთა, უეფას და საკონტინენტთაშორისო თასები. სამჯერ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად, ორჯერაც ევროპის საუკეთესოდ.

მაგრამ დახეთ, რა ხდება: რონალდო აქამდე არასდროს გამხდარა რომელიმე ქვეყნის ჩემპიონი. ესპანეთის წლევანდელი ჩემპიონობა მისთვის პირველია რაღა დარჩა? ჩემპიონთა ლიგაც და...

1993	ჯრუზეირო	მე-15 ადგილი
1994-95	პსვ ეინდჰოვენი	მე-3 ადგილი
1995-96	პსვ ეინდჰოვენი	მე-2 ადგილი
1996-97	ბარსელონა	მე-2 ადგილი
1997-98	ინტერი	მე-2 ადგილი
1998-99	ინტერი	მე-8 ადგილი
1999-00	ინტერი	მე-4 ადგილი
2000-01	ინტერი	მე-5 ადგილი
2001-02	ინტერი	მე-3 ადგილი
2002-03	რეალი	ჩემპიონი





ფრანკ რაიკარდმა რადომირ ანტიჩს სამსახური დაუკარგვინა

ფრანკი წავიდა, ფრანკი მოვიდა

ბარსელონა რაიკარდს ჩაებარეს

„რადომირ ანტიჩმა „ბარსელონა“ უეფას თასზე გაიყვანა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გუნდს ახალი მწვრთნელი სჭირდება“ — განაცხადა „ბარსას“ ახალმა სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა. ანუ, დიპლომატიურის ნაცვლად უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, რადომირ ანტიჩი „ბარსელონას“ მწვრთნელი აღარ არის, მას კონტრაქტი პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის დასრულებისთანავე დაუმთავრდა და გაგრძელების იოტისოდენა შანსიც აღარ არსებობს.

ანტიჩს ქვემოთ ისევ მივუბრუნდებით, ახლა კი ვთქვათ, რომ გუნდის უმწვრთნელოდ ყოფნა არ ეგების და სერბი ჰოლანდიელმა ფრანკ რაიკარდმა შეცვალა.

ფრანკ რაიკარდი — ახლო წარსულის დიდი ფეხბურთელი და უფრო ახლო წარსულის ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი, რომელიც, ევრო 2000-ზე ფრანკ დე ბურს პენალტი რომ არ გაეფუჭებინა, ეგებ ახლაც იმ პოსტზე ყოფილიყო.

თუ არ გახსოვთ, შეგახსენებათ: მაშინ ჰოლანდიის ნაკრები ნახევარფინალში „სკუადრა აძურას“ გადაეყარა და პენალტების სერიაში დამარცხდა. იმ მატჩში პენალტები სხვებმაც გააფუჭეს, დე ბურს კი ორჯერ არ გაუმართლა — ჯერ ძირითად დროში ვერ ივარგა, მერე კი პენალტების სერიაში.

ევრო 2000-ს თავი დავანებოთ, დე ბურსა და რაიკარდს კიდევ მივუბრუნდებით, ახლა კი ის ვთქვათ, როგორ შეხვდა რადომირ ანტიჩი გათავისუფლებას.

„სიმართლე გითხრათ, იმედგაცრუებული ვარ. ვერ გამიგია, რატომ არიან ჩემი მუშაობით უკმაყოფილები. როცა ჩავიბარე, „ბარსელონა“ მე-12 ადგილზე იყო და გასავარდან ზონას სულ რაღაც სამი ქულა აშორებდა. უკვე მაშინვე ცხადი იყო, რომ ჩემპიონთა ლიგას ვერ შევწვდებოდით და მიზნად უეფას თასზე გასვლა დამისახეს, რასაც მივაღწიეთ კიდეც. მეტი რა უნდა მექნა?“ — დაიჩივლა ანტიჩმა.

დავძინოთ, რომ ანტიჩის წინამორბედმა ლუის ვან გაალმა 20 მატჩში 23 ქულა მოიხვეჭა, ხოლო ანტიჩმა 17 მატჩი 32 ქულა (ერთ შეხვედრაში გუნდს თანაშემწე გაუძღვა), ანუ პროგრესი აშკარაა.

მაგრამ მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ანტიჩის შედეგი ვან გაალისას სჯობს, ბევრს არაფერს ნიშნავს, კლუბია და გუნება — მწვრთნელად ვისაც უნდა დანიშნავს. „ბარსას“ ახალ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას მოუნდა და, ანტიჩს რაიკარდით ცვლის. ახალ მწვრთნელს ლაპორტამ 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

და დაპირებული ფრანკ დე ბურიც — ჰოლანდიელი მცველი „ბარსელონიდან“ წავიდა. მისი კონტრაქტი ანტიჩის კონტრაქტთან ერთად დასრულდა, მაგრამ მწვრთნელისგან განსხვავებით, ფეხბურთელმა თავად არ ისურვა მისი გაგრძელება.

„შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ და ფრანკი ახლა ახალ კლუბს ეძებს“ — თქვა ფირმა „ჰელინგმენ ბუნდერსის“ წარმომადგენელმა, ეს ფირმა კი ტყუპისცალის აგენტობას სწევს.

დე ბური „ბარსაში“ 1998 წელს, ტყუპისცალ რონალდთან ერთად მივიდა. რონალდი 3 წლის წინ გადავიდა „რეინჯერსში“, ამ კვირაში კი დე ბურების ფესვები „ბარსადან“ საბოლოოდ ამოიძირკვა.

გიორგი დარჯანია

ფრანკ დე ბურმა „ბარსელონას“ ხელი დაუჭნია

დროსტარება ყატარულად

ხელმოუწერელი ბატისტუტას ღია წერილი

გაბრიელ ბატისტუტამ თავის ქომაგებს გაზეთ „ოლეს“ საშუალებით აუხსნა, თუ რატომ გადაწყვიტა კარიერის ყატარში გაგრძელება.

„მსურს ხანგრძლივი კარიერის თანმდევი ფსიქოლოგიური ტვირთი შევიმსუბუქო — განაცხადა 34 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა — ახლა მხოლოდ ბურთის თამაში, სიამოვნება და კარგი გასამრჯელო მინდა“.

არგენტინული გაზეთისთვის მიცემული ეს ინტერვიუ საზოგადოებამ გამოსათხოვარ, ღია წერილად მიიღო. უნდა ითქვას, რომ ფორვარდის ქომაგთათვის — არა მარტო არგენტინაში, არამედ მთელს მსოფლიოში — ცნობა მისი ყატარში წასვლის შესახებ დიდი მოულოდნელობა გახლდათ. მანამდე ლაპარაკობდნენ, რომ ბატისტუტა ინგლისში, კერძოდ კი ლონდონის რომელიმე კლუბში, „ჩელსიში“ ან „ფულემში“ გადავიდოდა, მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ ოფიციალურად ინიციატივა არ გამოიჩინეს. ღღეს, ვეტერანი არდადეგებს დუბაიში ატარებს.

„კაცმა რომ თქვას, ხელი ჯერ არაფერზე მომიწერია, მაგრამ ყველაფერი იქეთკენ მიდის, რომ ყატარში წავალ“ — ამბობს „ფიორენტინას“, „რომასა“ და „ინტერის“ ყოფილი ფეხბურთელი, რომელმაც იტალიური კარიერა ისე განვლო, რომ მისებრ წლობით სერია A-ში მოთამაშე თანამემამულის, ერნან კრესპოს მხარდამხარ ერთხელ ვერ ითამაშა.

„მართლაც დაუჯერებელია, „ინტერში“ ერთად ვიყავით და მოედანზე წყვილად მაინც არ მოგვიხდა თამაში. ხან ის იყო დაშავებული, ხან მე“.

კრესპოსთან წყვილში თამაში კი საინტერესო იმით იქნებოდა, რომ ფორვარდები, რომელთაც არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში მწვრთნელები მუდმივად აპირისპირებდნენ და ერთად მოედანზე არ გაჰყავდათ, დაპირისპირების ალტერნატიულ ვარიანტს მოსინჯავდნენ:

„სირცხვილია. ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდით, ერთობლივად თამაშის საშუალება კი არ მოგვეცა“.

ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ბატისტუტამ აშკარად უკლო.

„2001-02 წლების სეზონში მუხლის ტრავმამ დამწია უკან. ეს ტრავმა ჯერ კიდევ მაშინ მაწუხებდა, როდესაც „რომამ“ სკუდეტო მოიგო, ბოლო სეზონში კი ურიგოდ არ დამიწყია, მაგრამ ფაბიო კაპელომ ტაქტიკა შეცვალა და ძირითადად სკამზე მიწევდა ჯდომა. შემდეგ „ინტერში“ გადავედი, მაგრამ იქ კოჭი დამიშავდა“.

არადა, მისმა საუკეთესო წლებმა „ფიორენტინას“ ერთგულებასა და უტიტულობაში განვლო.

„ვამაყობ ფლორენციაში გატარებული ცხრა წლით, რომლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, 1996 წელს მოვიგე ჯილდო, იტალიის თასი. იმ ღამით, სამ საათზე ქალაქში დაბრუნებულებს, „არტემიო ფრანკიზე“ 40 ათასი ადამიანი დაგვხვდა. შემდეგ, „რომას“ შემადგენლობაში სკუდეტო მოვიგე. „რომა“, მოგეხსენებათ, ის გუნდია, რომელსაც მხოლოდ სამჯერ აქვს მოგებული იტალიის ჩემპიონატი. აშკარაა, ჩემი კარიერით უკმაყოფილო ვერ ვიქნები“.

ბაბუნა კედია



ბატისტუტას აქლემით სეირნობა ხშირად მოუწევს

ერიკი კანტონობას იბრალებს

მანჩესტერში და მანჩესტერიდან

ალექს ფერგიუსონი და დევიდ ბექემი გაიყარნენ. „მანჩესტერ იუნაიტედი“ სანაცვლოდ მიღებული ფულით ახალი ფეხბურთელების ყიდვას აპირებს. ინგლისელთა პირველი სამიზნე კამერუნელი ერიკ ჯემბა-ჯემბაა რომელსაც თანამემამულეებმა „აფრიკელი კანტონა“ შეარქვეს. ერთ-ერთ ინგლისური გაზეთის ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კამერუნელის სანაცვლოდ 3 მილიონ 500 ათასი გირვანქა უკვე გადაიხადა.

ერიკ კანტონასთან მსგავსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კამერუნელს ალექს ფერგიუსონი შრომისმოყვარეობით და დაუღლელობით მოუხიბლავს. საფრანგეთის ჩემპიონატის შარშანდელ სეზონში „აფრიკელმა კანტონამ“ ერთი წითელი და თერთმეტი ყვითელი ბარათი მოაგროვა.

შოტლანდიელ მწვრთნელს მიაჩნია, რომ ერიკ ჯემბა-ჯემბა ტრავმებით გატანჯულ როი კინს ღირსეულად შეცვლის.

კონფედერაციის თასზე არის კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც შოტლანდიელს გულში ჩაუვარდა — ბრაზილიის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი ილანი. 22 წლის თავდამსხმელი „ატლეტიკო პარანაენსეს“ საკუთრებაა და მას მანჩესტერელთა გარდა სხვა ევროპულ ბობოლათა მზვერავებიც აკვირდებიან.



ერიკ ჯემბა-ჯემბა

ამასობაში ესპანური „სევილიის“ დირექტორს რამონ როდრიგესს გუნდის გაძლიერება გადაუწყვეტია და თვით დიეგო ფორლანის გადასაბირებლად ჯახირობს. საეჭვოა, რომ რამონ როდრიგესის წამოწყება წარმატებით დასრულდეს. ეს ამბავი ფორლანმა შეიტყო, მისმა აგენტმა დანიელ ბოლოტნიკოვმა კი განაცხადა: „დიეგო მანჩესტერში ბედნიერია და წასვლას არ აპირებს. ჩვენთვის არავის მოუმართავს და რომც მოგვმართონ, ჩემი კლიენტი „ოლდ ტრეფორდიდან“ ფეხს არ მოიცვლის“.

„ოლდ ტრეფორდიდან“ აბარგება არც ხუან სებასტიან ვერონს სურს. ინგლისელ მიმომხილველთა აზრით, არგენტინელი ისე ვერ ათამაშდა, როგორც „ლაციოში“ სჩვეოდა და იგი შესაძლოა, მანჩესტერიდან „ინტერში“ გაუშვან, სადაც მას თანამემამულე მწვრთნელი ექტორ კუპერი ხელგაშლილი ელის.

თავად ხუან სებასტიან ვერონი უარზეა: „მე ალექს ფერგიუსონთან 2006 წლამდე ვრჩები, მერე კი სამშობლოში დავბრუნდები და „ესტუდიანტესს“ საჩემპიონო ბრძოლაში დავეხმარები“.

ვაჟა ხუციშვილი

რომარიოს მილიონი და სამი გოლი



ბრაზილია

30-14 ტური: ვასკუ და გამა — კრისიუმა 2:0; ატლ. მინეირო — გრემიო 3:2; ინტერნასიონალი — პარანა 2:1; სან პაულუ — გოიასი 1:0; პონტე პრეტა — კორინთიანსი 3:3; პაისანდუ — ფლამენგო 2:2; ფიგეირენსე — ფორტალეზა 2:2; სან კაეტანო — ვიტორია 2:1; ჟუვენტუდე — კრუზეირო 0:1; ფლუმინენსე — გუარანი 5:2

უბერებელმა რომარიომ კვლავ გამოიფხიზლა და სამი გოლით შეეწია თავის „ფლუმინენსეს“, რომელსაც ორი კვირის წინათ დაუბრუნდა ყატარში თამაშის შემდეგ. „ფლუმ“ 5:2 მოუგო „გუარანის“, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს სამი ფეხბურთელი გაუძევეს და გუარანელებს ჩხუბი მოუხდათ პოლიციასთან, რომელიც მსაჯის დაცვას ცდილობდა.

პოლიცია 85-ე წუთზე შევიდა მინდორზე, რათა „ფლუსთვის“ პენალტის დარტყმის საშუალება უზრუნველყო. თამაში ხუთი წუთით შეწყდა. „გუარანის“ ფეხბურთელები და ოცი პოლიციელი საჯარიმო მოედანში ერთმანეთს ეტოტებოდნენ. როცა ეს ამბავი შეწყდა, რომარიომ პენალტით თავისი მესამე გოლი გაიტანა, რასაც იმწამსვე მოჰყვა აღშფოთებული პაულაუს გაძევება.

რომარიო კი დასვენებული ჩანს. „ფლუში“ დაბრუნების შემდეგ მეორედ ითამაშა და ალბათ კარგ ხასიათზეცაა, რადგან ყატარის „ალ საადში“ მხოლოდ სამჯერ გავიდა მოედანზე, მილიონზე მეტი დოლარი მიიღო და შინ დაბრუნებულმა კვლავ „ფლუს“ მიაშურა.

წინა ტურში, „გოიასის“ წინააღმდეგ რომარიო არ განძრეულა, აქ კი პირველივე დარტყმული მაკრატელათი გაიტანა 48-ე წუთზე, თუმცა, მანამდე, „ფლუ“ 2:0-ს იგებდა ზადასა და ჟოსაფას გოლებით. თავის პირველს რომარიომ 11 წუთში მეორეც მიაყოლა. „გუარანიმ“ ამის შემდეგღა გამოიღო ხელი, თუმცა, პირველი ტაიმის მიწურულიდან ათი კაცით თამაშობდა, რადგან ალექსი უხეში ილეთისთვის გაუძევეს. მესამე წითელოსანი ლუსიო გამოდგა, რომელიც მსაჯის მიერ დამატებულ დროში მუშტით ეკვეთა მოწინააღმდეგეს.

ერთი ამბავი იყო კამპინაშში, სადაც „კორინთიანსმა“ ბოლო ათ წუთში როჟერიოს გატანილი ორი გოლით გამოგლიჯა ფრე „პონტე პრეტას“ — 3:3. ამ თამაშში 13 მოთამაშე გააფრთხილეს. „პონტე პრეტას“ კი ნენე და კონსეისაუ გაუძევეს თამაშის ბოლო ორ წუთში.

ლიდერმა „კრუზეიროს“ 1:0 მოუგო „ჟუვენტუდეს“, ერთადერთი გოლი მოტამ გაიტანა. „კრუზეიროს“ ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი აკლია: მაურინიო, ედუ დრასენა და ალექსი კონფედერაციის თასზე ბრაზილიის ნაკრებში თამაშობენ, ხოლო ვიტორ უგო არისტისაბალი კოლუმბიისაში.

ლუდაუ დუ მოუზაუ

კრუზეირო	14	8	4	2	30:17	28
ინტერნასიონალი	14	7	3	4	18:15	26
სან პაულუ	14	7	4	3	29:25	25
სანტოსი	13	7	3	3	22:13	24
კურიტიბა	14	7	3	4	23:18	24
სან კაეტანო	14	6	6	2	17:13	24
ატლ. მინეირო	14	6	5	3	25:18	23
ფლამენგო	14	5	6	3	23:23	21
კორინთიანსი	14	5	5	4	30:20	20
ფლუმინენსე	14	5	4	5	21:21	19
ბაია	14	5	4	5	20:21	19
პარანა	14	5	3	6	24:22	18
გუარანი	14	5	3	6	24:23	18
ვიტორია	14	5	3	6	17:23	18
კრისიუმა	14	5	3	6	15:21	18
ვასკუ და გამა	14	4	6	7	21:21	18
ატლ. პარანენსე	13	5	2	6	23:22	17
პაისანდუ	14	4	4	6	26:31	16
გრემიო	14	4	3	7	17:19	15
ფიგეირენსე	14	3	6	5	16:19	15
ჟუვენტუდე	14	2	5	7	11:27	14
ფორტალეზა	14	3	4	7	15:23	13
პონტე პრეტა	14	3	6	5	18:24	11
გოიასი	14	2	3	9	23:29	9

მშვიდობა ოქტომბერში და ერიკსონობა თურქეთში

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, შვედი სვენ გორან ერიკსონი თურქეთში აპირებს ჩასვლას, რათა ფეხბურთის იქაურ თავკაცებს ოქტომბრის ამბავზე მოეთათბიროს — 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში თურქეთი და ინგლისი ერთ ჯგუფში არიან და ოთხი თვის შემდეგ სტამბოლში უწევთ თამაში. ამ ორი ქვეყნის საფეხბურთო დაპირისპირებას კი, მოგეხსენებათ, შესაძლოა მაყურებლებში დიდი არეულობა მოჰყვეს. მოსალოდნელია, რომ ერიკსონი და თურქეთის ნაკრების თავკაცი შენოლ გიუნენში ქომაგებს ერთობლივი განცხადებით მიმართავენ.





სვენ გორან ერიკსონი და შენოლ გიუნენში მშვიდობის ელჩებად მოგვევლინენ

აღსანიშნავია, რომ მწვრთნელის გარდა 'საგანგებო მისიით სტამბოლს ორი ყოფილი ვარსკვლავი, ბრაიან რობსონი და რეი უილკინსიც ჩავა. ინგლისელები ფიქრობენ, რომ მათი ქომაგების თურქულ ვოიაჟს თავიდან ვერ აიცილებენ, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად, ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ერთ ბილეთსაც არ ითხოვს, მაგრამ შავ ბაზარს ვერაფერი შეაჩერებს. საქმე კი ისაა, რომ ლონდონის საფეხბურთო წრეების აზრით მათ თანამემამულეთა მატჩზე გამგზავრებას ორივე ერისთვის (!) შესაძლოა საშინელი შედეგი მოჰყვეს.

ამრიგად, ფეხბურთის ასოციაცია დიდ იმედს ამყარებს ერიკსონის ვიზიტზე, ისევე როგორც, მანამდე გასამართი ორი მატჩის, სერბიასთან ამხანაგურისა და სლოვაკეთთან შესარჩევის წინ, კაპიტნის, დევიდ ბექჰმის გულშემატკივრისადმი მიმართვაზე.

ფეხბურთის ასოციაციის დირექტორი დევიდ დევისი: „ჩვენ ამთავითვე ვგეგმავთ რისკის მინიმუმამდე დაყვანას. ამ ფართო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი სვენის სტამბოლში გამგზავრება და გიუნეშთან ერთად პრესკონფერენციის გამართვაა. მართალია, სვენთან დეტალები ჯერ არ მომიფიქრებია, მაგრამ მწამს, ვიზიტს დიდი ეფექტი ექნება“.

პაპუნა კედია

ბორა სად არის, ბორა?!

მილუტინოვიჩი შინ დაუბრუნეს



ბაქოში აზერბაიჯანთან მოულოდნელმა მარცხმა სერბეთ-ჩერნოგორიის მთავარი მწვრთნელი დეიან სავიჩევიჩი „შეიწირა“. პირველად მოხდა ისე, რომ აზერბაიჯანის ნაკრებმა შესარჩევ ტურნირში ერთ ნაკრებს ოთხი ქულა გაგდებინა. ალბათ გახსოვთ, სტუმრად გამართულ პირველ მატჩში ჩვენმა მეზობლებმა სერბებთან ფრეს მიაღწიეს.

დაკარგულმა ოთხმა ქულამ ევროპული გუნდი მომავალ ჩემპიონატს ჩამოაშორა და ბაქოური მატჩის შემდეგ დეიან სავიჩევიჩი პოსტიდან გადადგა.

მთავარი მწვრთნელის ადგილს სიმარტოვით დიდხანს არ მოუწყენია. სერბეთ-ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრები უცნობილეს თანამემამულეს, მწვრთნელობაში ჭიპმოჭრილ ბორა მილუტინოვიჩს ჩააბარა.

მას ხუთი ქვეყნის ნაკრებთან უმუშავია: მექსიკა, აშშ, ნიგერია, კოსტა რიკა და ჩინეთი. ბორა მილუტინოვიჩის თავკაცობით ჩამოთვლილმა გუნდებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშეს. მათ შორის ბოლო ჩინეთი გახლდათ, რომელმაც კორეა-იაპონიაში გამართული მუნდიალის საგზური სწორედ სერბი სპეციალისტის დახმარებით მოიპოვა.

მაჟა ხუციშვილი

რუსეთი

პრემიერლიგა XV ტური

სპარტაკ-ალანია 0:1 ურალანი

0:1 ბოჩკოვი (49)

სპარტაკ-ალანია: გონწაროვი, პაგაევი, აგაევი, ოვიჩი, ბოციევი (სიკოევი 62), ვარზიევი, გიკაევი (მიხოლაპსი 56), ჩოჩიევი, გ. ბაზაევი, აილაროვი (მენთეშაშვილი 25), აშვეთია

ლოკომოტივი 2:0 დინამო

1:0 ბუზნიკინი (10), 2:0 ასათიანი (27)

ლოკომოტივი: ოჭინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, ნიჟეგოროდოვი, ლეკბეტო, პაშინინი, სენიკოვი, ასათიანი (ვუჩიჩევიჩი 90), ლოსკოვი, ბუზნიკინი (სირხაევი 78), იზმაილოვი

სატურნი 1:1 რუბინი

1:0 ჯ. ბაზაევი (18), 1:1 სკოტი (40)

რუბინი: კოზკო, კალისტო, ნოვოტნი, სიდლაბაძე, სკოტი, სინევი, ხარლამოვი, შარონოვი (კონოვალოვი 70), ბოიარინცევი, ნეჩაევი (ჩიჟეკი 58), რონი

ტორპედო-მეტალურგი 1:2 შინიკი

1:0 რეხვიაშვილი (58), 1:1 ფუზაილოვი (69), 1:2 კარპენკო (84)

ცსკა 2:0 ტორპედო

1:0 სემაკი (50), 2:0 იანოვსკი (79)

როსტოვი 3:2 სპარტაკი

1:0 ოსინოვი (17), 1:1 სმირნოვი (83), 2:1 ოსინოვი (87), 2:2 პავლიუჩენკო (89), 3:2 კანიენდა (90)

კრილია სოვეტოვი 2:1 ზენიტი

1:0 დე სოუზა (27), 2:0 ტიხონოვი (30), 2:1 კერჟაკოვი (51)

ჩერნომორეცი 1:0 როტორი

1:0 სკრილნიკოვი (85ს.ჯ.)

ცსკა	14	10	3	1	27:12	33
სატურნი	14	7	5	2	21:12	26
დინამო	14	7	3	4	27:16	24
ლოკომოტივი	14	6	3	5	19:17	21
როსტოვი	14	5	6	3	15:18	21
ზენიტი	14	6	3	5	14:17	21
შინიკი	14	4	8	2	19:14	20
კრილია	14	5	5	4	18:13	20
რუბინი	14	5	5	4	18:13	20
ტორპედო	14	5	4	5	16:16	19
ჩერნომორეცი	14	4	6	4	16:17	18
სპარტაკი	14	3	4	7	16:21	13
როტორი	14	3	4	7	14:20	13
ალანია	14	4	0	10	9:26	12
ურალანი	14	2	5	7	8:20	11
ტ. მეტალურგი	14	2	4	8	11:16	10



მალხაზ ასათიანმა პირველი პრემიერლიგური გოლი მითვალა

დანია

სუპერლიგა XXXIII ტური

ესბიერგი — ოლბორგი 0:1, ფარუმი — ვიბორგი 1:0; მიდტიულანდი — აკადემისკი 3:3; კიოგე — ოდენსე 1:2; კოპენჰაგენი — ორჰუსი 4:1; სილკებორგი — ბრონდბიუ 4:3

კოპენჰაგენი	33	17	10	6	51:32	61
ბრონდბიუ	33	15	11	7	61:35	56
ფარუმი	33	16	3	14	49:58	51
ოდენსე	33	12	12	9	55:50	48
ესბიერგი	33	12	11	10	65:57	47
ოლბორგი	33	14	4	15	42:45	46
მიდტიულანდი	33	11	11	11	48:46	44
ვიბორგი	33	11	10	12	58:55	43
აკადემისკი	33	10	12	11	46:47	42
ორჰუსი	33	10	10	13	49:59	40
სილკებორგი	33	9	9	15	52:55	36
კიოგე	33	8	3	22	45:82	27

ნორვეგია

30-11 ტური: ლილესტრიომი — სოგნდალი 1:1; ბოდიო გლიმტი — ვიკინგი 1:1; მოლდე — ალესუნდი 2:3; ტრომსიო — ვოლერენგა 1:1; ლინი — ოდ გრენლანდი 0:2; სტაბეკი — როსენბორგი 2:2. ბრინი — ბრანი *წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

რუსენბორგი	11	9	2	0	30:7	29
სტაბეკი	11	5	4	2	19:13	19
ბოდიო გლიმტი	11	5	4	2	16:11	19
ვიკინგი	11	4	6	1	19:12	18
სოგნდალი	11	5	3	3	20:15	18
ოდ გრენლანდი	11	5	2	4	17:21	17
ლინი	11	4	3	4	16:19	15
ვოლერენგა	11	3	4	4	14:13	13
ბრინი	10	4	0	6	20:17	12
ლილესტრიომი	11	2	6	3	10:16	12
მოლდე	11	3	2	6	13:19	11
ალესუნდი	11	1	5	5	15:21	8
ბრანი	10	1	4	5	10:22	7
ტრომსიო	11	1	3	7	15:28	6

შვედეთი

30-11 ტური: იორებრო — ენკიოპინგი 4:2. *ტურის დანარჩენი მატჩები წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგები ცხრილში შეტანილი არაა*

იურგორდენი	10	7	1	2	25:7	22
ჰამარბი	10	6	4	0	16:8	22
აიკ	10	6	2	2	20:11	20
იორებრო	11	6	1	4	19:18	19
ჰელსინგბორგი	10	5	2	3	12:12	17
მალმიო	10	4	3	3	15:12	15
ჰალმსტადი	10	4	2	4	15:14	14
იორგრიტე	11	4	2	5	14:19	14
ელფსბორგი	10	3	4	3	12:17	13
გოტებორგი	10	3	3	4	16:11	12
სუნდსვალი	10	2	3	5	10:14	9
ლანდსკრონა	10	2	3	5	10:15	9
იოსტერი	11	2	2	7	10:20	8
ენკოპინგი	11	1	2	8	10:26	5

ამხანაგური მატჩი

ჰონდურასი 2:1 გვატემალა

0:1 ასვედო (16), 1:1 ხ. მარტინესი (51), 2:1 ე. ალვარესი (55)

მარკესის რომაული რომანტიკა



რაფაელ მარკესი

„რომა“ „ოსერის“ მცველს, ფილიპ მექსეს ყიდულობსო, დაარხა ხმები, მაგრამ ფეხბურთელის აგენტმა, ოლივიე ჟანომ ეს ხმები სამუშაო კვირის პირველსავე დღეს გააბათილა:

„ფილიპს არასდროს უთქვამს, რომ „ოსერიდან“ წასვლა აქვს გუნებაში. სასამართლოშიც რომ უჩივლონ, იგი ამ კლუბში დარჩება“.

აღსანიშნავია, რომ მექსეში მხოლოდ 21 წლისაა და „რომამდე“ მის გვარს „მანჩესტერ იუნაიტედს“ ან „არსენალს“ უწყვილებდნენ.

და, თუ იგი არა, მაშინ „რომას“ ინტერესის საგანი „მონაკოს“ მცველი, მექსიკელი რაფაელ მარკესი გახდება, თუმცა, რაღა გახდება, 24 წლის მოთამაშის შეძენა ფაბიო კაპელოს სელექციონერებს კარგა ხანია აინტერესებთ.

„ეს ის გუნდია, რომელიც საბედნიეროდ, მართლა დაინტერესდა, ხოლო ჩემთვის, იტალიაში თამაშის შესაძლებლობა ბევრს ნიშნავს. დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად გამოვა. თან სიტუაცია მართლაც საინტერესოა. „მონაკო“ ვალშია და ჩემი გაყიდვით მიღებულმა თანხამ, შესაძლოა, მდგომარეობა შეუმსუბუქოს“.

მეორე მხრივ, „რომას“ ოფისთან სულ უფრო ხშირად იკრიბებიან გულშემატკივრები, რომლებიც ხელმძღვანელობას ახალ მოთამაშეებს სთხოვენ.

მარკესი, უნდა ითქვას, რომ მცველის გარდა ნახევარმცველიც არის, თუმცა, როგორც თავად ამბობს, მისი საყვარელი პოზიცია მაინც დაცვის ცენტრშია.

თუ ეს ტრანსფერი შედგება, მაშინ მექსიკელი არგენტინელი ვალტერ სამუელის მეწყვილე შეიქნება.

„სამუელს ვიცნობ და გარწმუნებთ, მასთან ჩინებულად შევძლებ პარტნიორობას — თქვა მან და ფრიად უცნაური რამ დასძინა — ის, რომ „რომა“ ჩემპიონთა ლიგაში არ გამოვა, ჩემზე არ მოქმედებს. მე მხოლოდ კარგ გუნდში თამაში მხიბლავს“.

მარკესის აგენტის, ანხელო არკილას განცხადებით კი „რომა“ მის კლიენტს იმავე ფასად მიიღებს, რა ფასადაც ახლახან „იუვენტუსმა“ ნიკოლა ლეგროტალიე შეიძინა.

„მარკესი ამ ფასს (5 მილიონი გირვანქა) იმსახურებს. იგი გასულ სეზონში საფრანგეთის ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს“.

სხვათა შორის, „რომას“ „მონაკოში“ სხვა ინტერესიც აქვს, ეს გახლავთ თავდამსხმელი შაბანი ნონდა, რომლის ფასი 9 მილიონია.

პაპუნა კედია

დეიანს შეაბამენ

„ლაციოს“ აქციათა 29 პროცენტის მყიდველთა შორის ყველაზე აქტიური არაბი პრინცი ჰანი იამანი გამოდგა. მის გარდა აქციებისადმი ინტერესი ფრანგმა ფინანსისტმა პატრიკ პერენმა გამოამჟღავნა. მეწილეთა შეხვედრის შემდეგ მოსალოდნელია, რომ რომაული კლუბის კაპიტალი 70 მილიონი ევროთი გაიზრდება.

იტალიურ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ რამდენიმე დღის წინ იამანი და პერენი ბანკ „კაპიტალის“ პრეზიდენტს, ჩეზარე ჯეროლენტის შეხვდნენ და მეორე შეხვედრაც იქვე დათქვეს. თუ „ლაციო“ ხსენებული თანხით გამდიდრდება, მაშინ მიმომხილველთა აზრით გუნდის განაცხადი „პარმასაგან“ ადრიან მუტუს შეძენის თაობაზე სერიოზულ სახეს მიიღებს.

გარდა ამისა, რომაელ ქომაგთა გასახარად, სერბი დეიან სტანკოვიჩი აპირებს კლუბთან კონტრაქტის განახლებას, არადა, მის სახელს ხან „მილანს“ უკავშირებდნენ, ხან „ინტერს“ და ხან „იუვენტუსს“. ამბობენ, რომ სტანკოვიჩმა 2008 წლამდე დარჩენაში სეზონში 1,5 მილიონი და კაპიტნის სამკლავური მოითხოვა.

პაპუნა კედია

მაღალი მე, დაბალი შენ



მარკო დი ვაიო

„იუვენტუსმა“ და „მილანმა“ შესაძლოა თავდამსხმელები გაცვალონ — ტურინელი მარკო დი ვაიო „მილანში“ გადავიდეს, ხოლო მილანელი დანიელი იონ დალ ტომასონი „იუვენტუსში“. თურმე „ბებერი ქალბატონი“ მაღალ თავდამსხმელს ეძებს, რომელიც სწრაფი დავიდ ტრეზეგეს თამაშს სხვა სტილით გაამდიდრებს. ამბობდნენ, რომ „იუვეს“ „ლაციოდან“ ბერნარდო კორადის ან „ბოლონიიდან“ ხულიო კრუზის წაყვანა სურდა, მაგრამ ბევრი რომ იფიქრა ისევ ტომასონზე შეჩერდა.

ტომასონმა „მილანში“ ვერ დაიმკვიდრა ადგილი და სხვაგან წასვლა სურს. ამბობენ, ოღონდ გარემო გამოიცვალოს და მზადაა, „სან სიროს“ სკამიდან „დელე ალპის“ სკამზე გადავიდესო. თან „მილანიც“ არ ეჭაჩება გინდა თუ არა დარჩიო, თუმცა „ფეიენოორდისგან“ ნაყიდ კაცში 8 მილიონს ითხოვს.

საინტერესოა, რომ „იუვე“ ჰყიდის ენცო მარესკას, მარსელო ზალაიეტას და მარკ იულიანოსაც, ასე რომ, „მილანს“ შეუძლია აირჩიოს და მაინცდამაინც დი ვაიოს არ მიაწდეს, მით უფრო, რომ „შავ-წითლების“ მწვრთნელს, კარლოს ანჩელოტის იულიანო ძალიან მოსწონს და ერთი წლის წინაც ცდილობდა მის შეძენას.

პაპუნა კედია

ტიაგო მოტა

დახლართული ინტერესები

„ბარსელონას“ ვარსკვლავი ტიაგო მოტა, შესაძლოა, „მილანში“ გადავიდეს. მისი აგენტი დარიო კანოვი ამბობს, რომ მდგომარეობა სენსაციურად შეიცვალა:

„ერთი წლის წინ „მილანის“ ამბავი ჩაშლილი ჩანდა, მაგრამ ახლა გარიგება თითქოს სრულდება“.

მოტა ბრაზილიელი ნახევარმცველია. იგი 28 აგვისტოს 21 წლისა სრულდება, მაგრამ ასაკის მიუხედავად, კატალონიური კლუბი მასთან დაკავშირებით დიდ გეგმებს ვერ აწყობს.

იმავე აგენტის თქმით, „მილანმა“ შესაძლოა განელი სტეფან აპიაც ჩაიგდოს ხელში. აპია „პარმასაც“ ეკუთვნის და „ბრეშასაც“, ასე რომ, მოლაპარაკებების დროს ბალანსია გამოსაძებნი, თუმცა გამორიცხული არაფერია. ისე კი, აპიას ყიდვა „რომასაც“ სურს, რადგან ნიკოლა ლეგროტალიე „იუვენტუსს“ გაატანა და შეესება სჭირდება.

რაც შეეხება კრისტიან კივუს, იგი მისივე სიტყვით, მზადაა „ინტერის“ პირობებს ხუთ წუთში დათანხმდეს, მაგრამ მისი აგენტის იონ ბეკალის განცხადებით, უკვე არსებული წინასწარი გარიგების თანახმად, 25 ივნისამდე იცდის. თუ „ბარსელონა“ მწვრთნელად რონალდ კუმანს მიიწვევს, კივუ კატალონიაში წავა.

— „ინტერის“ პრეზიდენტს, მასიმო მორატის ჩემი ნომერი უწერია და გნებავთ მას, გნებავთ, დირექტორ გაბრიელე ორეალის ყველაფერს ავუხსნი. ჩემი კლიენტი „აიაქსში“ აღარ დარჩება, მაგრამ სად წავა, „ინტერში“, „ბარსელონაში“ თუ ერთ ინგლისურ კლუბში, გასარკვევია“.

პაპუნა კედია

სამშობლოს ძახილი

მიუხედავად პორტუგალიური „ბენფიკას“ დიდი სურვილისა, დემეტრიო ალბერტინი „მილანში“ დაბრუნდება.

„მე „სან სიროს“ ვუბრუნდები — უთხრა ვეტერანმა რადიო „24“-ს — უკვე გადავსახლდი მილანში. ამიერიდან ჩემი მომავალი იტალიაში ეძიეთ“.

1990-იანი წლების „მილანის“ წამყვანი ნახევარმცველი შარშან გუნდის ახალი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის გეგმაში ვერ მოხვდა და მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა. და მართალია, იქ ცუდად არ უთამაშია, მაგრამ მაინც დაბრუნებას აპირებს.

„ესპანეთში ფეხბურთს სხვანაირად უყურებენ. მოედანს გარეთ ყურადღებას არავინ გაქცევს, მოედანზე კი ტაქტიკაზე მეტად ფინტები აინტერესებთ. ჩემთვის მადრიდში თამაში სასიამოვნო იყო“.

მეორე მხრივ, 32 წლის ალბერტინისთვის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ გუნდში ადგილის დამკვიდრება შეუძლებელი უნდა იყოს. ამბობენ, რომ „ბენფიკა“ ჯერჯერობით უკან მაინც არ წაიღებს თავის წინადადებას და მასთან ერთად ოავისას, სერია A-ში ახალაღზევებული „სიენაც“ ეცდება.



დემეტრიო ალბერტინი

პაპუნა კედია

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. XI ტური						
		25 ივნისი						
22.00	022	ჰალმსტადი-ჰამარბი	2,25	3,3	2,9	1,33	1,26	1,54
		ფინეთი. VIX ტური						
		26 ივნისი						
20.30	039	კტპ-ჰაამეენლინა	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
20.30	040	მიუპა-ტამპერე	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
20.30	041	ტურკუ-ლაპტი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
20.30	042	იარო-ჰიკ	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
20.30	043	ჯაზი-ინტერი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
21.00	044	იოკერიტი-კუოპიო	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
		ესპანეთი						
		თასის ფინალი						
		28 ივნისი						
24.00	055	მალიორკა-უელვა	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
		შვედეთი. თასი.						
		26 ივნისი						
22.00	056	აიკ-იოსტერი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
23.30	057	მალმიო-იურგორდენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
		ლიბერტადორესის თასი						
		ფინალი. I მატჩი						
		26 ივნისი						
05.10	079	ბოკა ხუნიორსი-სანტოსი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
		კალათბურთი						
		ესპანეთი.						
		24 ივნისი						
24.00	601	ბარსელონა-ვალენსია	1,6	12,0	2,0	1,41	1	1,71
		კალათბურთი						
		საბერძნეთი.						
		25 ივნისი						
22.00	604	აეკ-პანათინაიკოსი	1,7	12,0	1,9	1,48	1	1,64

ტენისი. უიმბლდონი. კაცები

24 ივნისი (15.00)

801	ნალბალდიანი-ვოლჩკოვი	1,55	2.1
802	ნორმანი სუზუკი	1,35	2.6
803	ფერკერკი-სოდერლინგი	1,3	2.8
804	კიფერი-ელსენერი	1,3	2.8
805	შტეპანეკი-მერტინაკი	1,1	5.0
806	ბუტე-გალვანი	1,25	3.1
807	ლოდრა-სანჩესი	1,15	4,0
808	გროსიანი-ენკვისტი	1,3	2,8
809	არტურსი-მარტინი	1,1	5.0
810	როსე-მუდი	1,75	1,85
811	ნიმაიერი-მანტილია	1,75	1.85
812	ბლეიკი-ლარკჰამი	1,15	4.0
813	სარგსიანი-ბოგდანოვიჩი	1,6	2.0
814	ესკუდე-ეკონომიდისი	1,25	3,1
815	ფერერო-ლისნარდი	1,08	5.6
816	კორია-როხუსი	1,65	1,95
817	დიუპუა-ბლუმფილდი	1,1	5.0
818	ნიემინენი-ვერდასკო	1,35	2,6
819	კაფელნიკოვი-სლუტერი	1,45	2,3
820	არაზი-პოპი	1,6	2.0
821	ლი-ფერერი	1,25	3.1
822	ნოვაკი-ჰორნა	1,1	5.0
823	მალისი-სოლნიე	1,2	3.5
824	ფილიპუსისი-საბალეტა	1,1	5,0
825	დრეიპერი-მატი	1,4	2,4
826	ელ აინაუი-ჰილტონი	1,08	5,6
827	მასუ-კრაიანი	1,5	2,2
828	ბურგსმიულერი-მონტანესი	1,15	4,0
829	აგასი-დელგადო	1,01	9,0
830	ჰენმანი-ზიბი	1,02	8,0
831	სა-პუერტა	1,15	4,0

ფორმულა 1. ევროპა (გერმანია). 28 ივნისი (12.00)

4001 გამარჯვებული		სამეული		ძმისეული		4002 უსწრ. ორე	
მ.შუმახერი	1,7	4101	1,15	4201	1,1		1,8
ბარიჩელო	6,0	4102	1,7	4202	1,25		5,0
რაიკონენი	7,0	4103	1,8	4203	1,25		5,0
მონტოია	7,0	4104	1,8	4204	1,3		5,0
კულტჰარდი	10,0	4105	2,6	4205	1,35		10,0
რ.შუმახერი	10,0	4106	2,3	4206	1,35		10,0
ალონსო	17,0	4107	3,5	4207	1,35		17,0
ტრული	35,0	4108	6,0	4208	1,8		35,0
ბატონი	75,0	4109	15,0	4209	2,4		100,0
ვილნევი	75,0	4110	15,0	4210	3,0		100,0
ფიზიკელა	75,0	4111	15,0	4211	3,0		100,0
პანისი	75,0	4112	15,0	4212	3,0		100,0
ვებერი	75,0	4113	15,0	4213	3,0		100,0
ფრენცენი	100,0	4114	25,0	4214	3,0		100,0
ჰაიდფელდი	100,0	4115	25,0	4215	3,0		100,0
დი მატა	100,0	4116	25,0	4216	3,0		100,0

4301 გამარჯვებული ბუნდი	
ფერარი	1,4
მაკლარენი	3,3
უილიამსი	4,6
რენო	12,0
ზაუბერი	40,0
ბარ	40,0
ჯორდანი	50,0
ტოიოტა	50,0
იაგუარი	50,0
მინარდი	200,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაარეგულირეთ

სამ თბილისურ ბიშროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“, ყოფილი „დელისი“);

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

ბრიტომ ქმქეებზე სამუშაო დრო გაანგრძლივა

შაბათი 12.00-21.30

კვირა 12.00-20.30

ბრაიკოვიჩმა დაცვით და დისციპლინით დაიწყო

ვნახოთ, როგორ დაებედება საქართველოს ნაკრებს რიცხვი 13... თითქმის ორწლიანი შესვენების შემდეგ გუშინ ეროვნული გუნდი 13 კალათბურთელით შეიკრიბა

დრაჟენ ბრაიკოვიჩი: მთავარია დისციპლინა!

ჩემპიონატში მოცილეებმა ვლადიმერ ბეჟანიშვილმა (მარცხნივ) და ლაშა ლოსაბერიძემ გუშინ ნაკრებში ერთად ივარჯიშეს

ფოტოები ალექსანდრ ფეტიტოვის

დილის 11-ის ნახევრისთვის ხორვატი მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი შეეგრდებს „დინამოს“ ბაზაზე ელოდა. გამოძახებული 30 კალათბურთელიდან, როგორც გითხარით, დიდის ბაზაზე ნაკრების მხოლოდ 13 კანდიდატი მივიდა. ვარჯიშიც არ ყოფილა ხანგრძლივი. ბრაიკოვიჩმა დაახლოებით საათს დაკავა კალათბურთელები, ხვალიდან ორჯერად ვარჯიშზე გადავდივართო, უთხრა და დაემშვიდობა.

„დინამოს“ ბაზაზე შეკრებილთაგან ექვსი ნაკრების დებიუტანტია. ირაკლი საყვარელიძე, ირაკლი კეიდია, ზურაბ ბადრიძე, ლაშა ლოსაბერიძე, ვიქტორ სანიკიძე და კოტე ტულუში ეროვნულ გუნდში პირველად გამოიძახეს. ექვსსაც — ირაკლი ხოშტარიას, ვლადიმერ ბეჟანიშვილს, დავით უგრეხელიძეს, ზვიად ბაბიაშვილს, არჩილ ჟღენტსა და დავით ბერძენიშვილს სხვადასხვა დროს უთამაშიათ ნაკრებში. დარჩა ერთი, დავით მუშკუდიანი, რომელიც ორი წლის წინ ზურაბ ტომარაძემ ეროვნულ გუნდში კი მიიწვია, მაგრამ ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის სანაკრებო განაცხადში არ შეიყვანა. დღეს ტომარაძე უკვე ნაკრების მთავარი მწვრთნელის, დრაჟენ ბრაიკოვიჩის თანაშემწეა და გუშინდელ ვარჯიშს ისიც უძღვებოდა.

როგორც ვთქვით, ვარჯიშმა ექვსულკუბით საათს გასტანა, ბრაიკოვიჩმა ჯერ „ბანაობა“ ზელებს დაუთმო დრო, შემდეგ კი ყველა ერთად ფიზიკურად დატვირთა.

სანაკრებო ცამეტეულიდან თითქმის ყველა გვარი ეცნობა ქართული კალათბურთის ქომაგს, ხოლო ერთი, ზურაბ ბადრიძე, ეგებ ვერ გაიხსენოს. ბადრიძე შარშან მაჩანჩალა „ქუთასის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, სისწრაფითა და მოზომილი გადაცემებით გამოირჩეოდა. ბოლო სეზონი ბადრიძემ რუსეთის მესამე ლიგაში გაატარა და „ნალჩიკს“ ზემო დივიზიონში ანაცვლებაში დაეხმარა. „ნალჩიკი“ დღეს უკვე რუსეთის უმაღლესი ლიგის წევრია, ამის ზემოთ კი მხოლოდ სუპერლიგაა, თავისი ცსკა-თი და „ურალ გრეიტით.“

ნაკრების დებიუტანტთაგან ორს, ბასკელ ირაკლი კეიდიასა და სტუ-ელ ლაშა ლოსაბერიძეს ვარჯიშის შემდეგ მცირე კომენტარი ვთხოვეთ. შეკრებილთა საერთო აზრით ბრაიკოვიჩისეული წვრთნის მეთოდი ორ სიტყვაში გამოიხატება: დისციპლინა და დაცვა.

კეიდია: „რომ ვთქვა, ნაკრებში გამოძახებას არ ველოდიო, მართალი არ ვიქნები. არცთუ ცუდი სეზონი მქონდა და ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ადგილს, ალბათ, ვიმსახურებდი. ჯერ ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთი ვარჯიში ჩავატარეთ, მაგრამ, რაც მთავარია, გუნდში კარგი ატმოსფერო შექმნა ბრაიკოვიჩმა.“

ლოსაბერიძე: „ნაკრებში გამოძახებას არ ველოდი. ბრაიკოვიჩმა კანდიდატთა შორის რომ დამასახელა, ძალიან გამიკვირდა. ვეცდები, მოვინდომო და მწვრთნელს იმედი გავუმართლო. ბრაიკოვიჩი სრულიად განსხვავებულად გვავარჯიშებს.“

დავით უგრეხელიძისთვის კი ბრაიკოვიჩის ვარჯიშებში ახალი არაფერია: „ბრაიკოვიჩის ვარჯიშმა ჩემი ძველი გუნდი, ლიუბლიანის „სლოვანი“ გამახსენა. ხორვატიას და სლოვენიას თითქმის ერთნაირი საკალათბურთო სკოლები აქვთ და ვარჯიშებიც ძალიან მსგავსია... კარგია, ასე ადრე რომ შევიკრიბეთ. მომავალ ზაფხულამდე ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, ოფიციალურ მატჩებს კარგად მომზადებულნი შევხვდებით.“

დღეიდან ნაკრები ორჯერად ვარჯიშზე გადავა, თანდათან ლეგიონერებიც შეუერთდებიან და ივლისის ბოლოს კიევში გასამართი ტურნირისთვის მზადებაც სათანადო სახეს მიიღებს.

ირაკლი პერტაია

ამერიკამ გოგო-ბიჭები დაათვალიერა

კალიფორნიაში, სან ფრანცისკოს მახლობელი პალო ალტოს სტადიონი ორი დღე მასპინძლობდა მძლეოსანთა წმინდაამერიკულ შეჯიბრს — აშშ-ს ოასს.

ორდღიანმა ტურნირმა ფრიად სოლიდურ კომპანიას მოუყარა თავი: იქ იყვნენ ტიმ მონტგომერი, მორის გრინი, გეილ დივერსი, კაილ ვაიტი... აკაშკაშებულ ვარსკვლავთა გვერდით დარბოდნენ ამომავალი ვარსკვლავებიც, როგორიც გახლავან ელისონ ფელიქსი და დერვის პეტონი.

ამ შეჯიბრის ერთ-ერთი მიზანი აგვისტოში პარიზში გასამართი მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აშშ-ს ნაკრების დაკომპლექტებაც იყო. მარტივად რომ ვთქვათ, ვინც ფრიადზე გაირჯებოდა, პარიზში სავარაუდოდ წამსვლელთა სიაში ჩაეწერებოდა.

თავად ტიმ მონტგომერი პალო ალტოში ახალი მწვრთნელის თანხლებით ჩავიდა. აქამდე ტიმი უმისოდ მოგზაურობდა მსოფლიოს სამძლეოსნო ეტაპებზე. მისი მწვრთნელი 49 წლის კანადელი დენ პფაფია, ვინც თავის დროზე ავარჯიშებდა აგრეთვე სპრინტერ დონოვან ბეილის და 1996 წელს მსოფლიოს რეკორდსმენიც გახადა, სხვათა შორის, პფაფი ტიმის მეუღლე მერიონ ჯონსსაც გაწვრთნის, ცხადია, მას შემდეგ, რაც პირმშვენიერი მერიონი სექტემბერში იმშობიარებს და სარბენლად სამყოფ ჯანს მოიკრებს.

მონტგომერის, რომელიც ხშირად აცდენს რაგინდარა ჯურის ტურნირებს, პალო ალტოში ახალი მწვრთნელის დარიგებებმა ვერ უშველა. 100 მეტრიანი დისტანციის ფინიშთან ტიმი მე-2 მივიდა. მისი გამსწრები კი ბერნარდ უილიამსია, რომელმაც მანძილი 10,11 წამში გაირბინა.





REUTERS პალო ალტოდან

მორის გრინს ამერიკული ოქრო ტრავმამ დაუარგვინა, ვეტერანმა გეილ დივერსმა კი თავისი მოსაგები მოიგო

არ გაუმართლა კიდევ ერთ მსოფლიოს ჩემპიონსა და რეკორდსმენ მორის გრინს. 200 მეტრზე ნახევარფინალურ სპრინტში გრინმა ტრავმა მიიღო და მთავარ ეტაპს დააკლდა. მის არყოფნაში კი დერვის პეტონმა ივაჟკაცა (20,15 წმ) და მშობლიური ოქრო ამაყად დაიკიდა გულზე.

ქალებში ყველა ელოდა ელისონ ფელიქსის ამობრწყინებას. ეს გოგონა ვუნდერკინდად ითვლება, თუმც მასზე უკეთესსა და გამოცდილ ქალებთან გამკლავება ჯერ კიდევ უჭირს. ელისონმა ირბინა 100 და 200 მეტრებზე. პირველში იგი სამეულშიც ვერ მოხვდა — აქვე ვთქვათ, რომ 100 მეტრზე ყველაზე სწრაფი მანდილოსანი კელი უაიტი (10,93 წმ) იყო — 200 მეტრზე კი ფელიქსი გაცილებით უკეთ გაირჯა და წინ მხოლოდ იგივე უაიტი და ტორი ედვარდსი გაუშვა.

თავის სტიქიაში იყო 36 წლის გეილ დევერსი, რომელმაც წინაღობებით დამძიმებული 100 მეტრი ჩვეული სიმსუბუქით (12,61 წმ) მოარჯულა და ვინ მოთვლის, მერამდენე ოქრო მოიპოვა.

ბაჩო სვანიძე

მთვლემარე ლუისმა კლიჩკო კინაღამ დააბრმავა



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ბრძოლაში მოგვიანებით გამოფხიზლებულმა ლენოქს ლუისმა თავისი მუშტი მაინც გაუტარა ვიტალი კლიჩკოს და საჩემპიონო ქამრები შეინარჩუნა

შაბათ საღამოს უკრაინელმა ვიტალი კლიჩკომ კინაღამ შეძრა ამერიკის საკრივო სამყარო, თუმცა მაინც წაგო ლენოქს ლუისთან მას შემდეგ, რაც რინგის ექიმმა პოლ უოლესმა კლიჩკოს გახეთქილი წარბიდან გამომდინარე სისხლის უწყვეტობის და ჭრილობის სიღრმის გამო ბრძოლა შეწყვიტა და საბჭოს (ვბკ) ჩემპიონ ლუისს პირდაპირ ჩაეთვალა მოგება ექვსი რაუნდის შემდეგ.

ამ გადაწყვეტილებას ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერში" შეკრებილი 16 ათასამდე მაყურებელი, იმათ შორის კი ორი დუჟინი კინოვარსკვლავი სტვენით შეხვდა. პუბლიკამ კლიჩკო ტაშით გააცილა, ლუისი კი სტვენით. მთავარი ინტრიგა ამ ამბისა ის იყო, რომ სამივე დამთვლელის ბარათში ექვსი რაუნდის თავზე კლიჩკო 58-56-ს იგებდა.

ბრძოლის დასაწყისი მოულოდნელი იყო. დამძიმებული და თითქოსდა მთვლემარე ლუისი ძალიან მოგვაგონებდა წლინახევრის წინათ ჰასიმ რაჰმანთან წაქცეულ ლუისს. თითქოს კრივობა ეზარებოდა და ფონს გასვლას მისთვის უჩვეულო, უჭკუო და ოდენ ჯანზე დაყრდნობილი ხერხებით ლამობდა. უკრაინელი კი იმას აკეთებდა, რაც იცოდა და გვარიანებიც მოსდო მიძინებულ ჩემპიონს, რომელიც, აქვე ითქვას და, ამერიკელ მაყურებელს და მედიას ძლიერ არ უყვარს: ერთი იმიტომ, რომ ყველა ამერიკელი წაქცია და მეორე იმიტომ, რომ მეტად დაჯერებულია საკუთარ ძალაში და კლიჩკოზეც ადრიდანვე გამოაცხადა, მეხუთე რაუნდში დავცემო.

ამასობაში ვიტალიმ პირწმინდად მოიგო პირველი ორი რაუნდი, მაგრამ მესამეში მოხდა ის, რამაც მერე მატჩის ბედი გადაწყვიტა. ლუისი მარჯვენით მისწვდა კლიჩკოს წარბს და გაუხეთქა. ჭრილობა გამოდგა ღრმა, ეგრეთ წოდებული სამკუთხა და ყოველწამს შეიძლებოდა ბრძოლა შეეწყვიტათ, თუმც ექიმმა უოლესმა კლიჩკოს დააცადა და ბრძოლაც გაგრძელდა. უკრაინელმა თავის არჩეულ ტაქტიკას არ უღალატა, თუმც გაირკვა, რომ ლუისმა იფხიზლა და ბრძოლის თავის მარწუხებში მოქცევაც დაიწყო. მეოთხე რაუნდში მან ღაწვი გაუხეთქა კლიჩკოს, მეექვსეში კი ტუჩი, თუმცა თვითონაც გაეხსნა ჭრილობა ცხვირზე. ამასთან, ლუისმა კიდევ ორჯერ მოარტყა კლიჩკოს გახეთქილ წარბში.

კლიჩკოს წარბი საშინელი სანახავი იყო, ის თვალს ვეღარ ახელდა და ექიმმა უოლესმა რეფერის ბრძოლა შეაწყვეტინა, რომ მოკრივე არ დაბრმავებულიყო. ამის გამგონე კლიჩკო სკამიდან წამოხტა და გერმანულ-ინგლისურად ყვირილს მოჰყვა, არა, არაო. მერე კი ლუისსაც გაექაჩა, ერთი აქეთ მნახეო, მაგრამ ძმამ, ვოლოდიამ დააწყნარა. კლიჩკო რინგის თოკებზე აძვრა და გამარჯვების ნიშნად მუშტები შემართა, რამაც ხალხის ტაში დაიმსახურა. ლუისი კი უდარდელად იდგა და მაყურებელს ყურადღებას არცკი აქცევდა, მერე თქვა კიდეც, მაყურებელს უნდა თუ არა, მე მაინც ყველაზე მაგარი ვარო.

რინგისავე კუთხეში ლუისმა „ეიჩბიოუს" მისცა ინტერვიუ და თქვა, კლიჩკოს ბედი, რომ ბრძოლა შეწყდა, ეგებ მომკვდარიყო კიდეცო. მას უთხრეს, რომ კლიჩკო ქულებით უგებდა ექვსი რაუნდის თავზე. „ეს გადამწყვეტი არ არის", განმარტა ჩემპიონმა, „მე ახლაღა ვხურდებოდი და უკვე ვარტყამდი, ერთი-ორი ასეთი და ნოკაუტი იქნებოდა. თქვენ მეუბნებით, რომ ისეთი კრივი შევთავაზე, თითქოს ძაღლების ჩხუბი ყოფილიყო. სწორია, ის არასდროს ყოფილა ამგვარ პირდაპირ და საშინელ ჩხუბში, მეც ეს დავახვედრე, ასე გადავწყვიტე."

ბოლოს და ბოლოს, კლიჩკომ კი წაგო, მაგრამ ჯამში მოგებული დარჩა. აქამდე ამერიკაში არავინ იცნობდა, ახლა კი ყველამ დააფასა და ფავორიტად გამოაცხადა. ახლა ის ლუისთან რემატჩს ითხოვს და ლუისიც ყაბულსაა, თუ კარგი ფული დაიდება, რატომაც არაო. აქამდე ამერიკაში ამბობდნენ, კლიჩკოები ზოზინა, ევროპელი გოლიათები არიანო, ახლა კი ძმები გმირებად და შოუს მომავალ ვარსკვლავებად გამოცხადდნენ.

ვიტალის ლაპარაკი, ლუისმა ვერაგი თავურით გამიხეთქა წარბიო, ტყუილია. ყველამ დაინახა, რომ ლუისმა მარჯვენა ჯები ატაკა.

ლუისი იყო მძიმე, მთვლემარე და მაინც ძალიან მაღალი კლასისა, რითაც დაინარჩუნა კიდეც საბჭოს (ვბკ) ქამარი. რემატჩი კი, ალბათ, დიდი სეირი იქნება.

ალგერტ ხაჩატურიშვილი



REUTERS ნიუ იორკიდან

ტაისონი დააკავეს

ამ უქმეებზე ნიუ იორკში პოლიციამ დააკავა მაიკ ტაისონი. ამბავი მოხდა ბრუკლინში, „მერიოტის" სასტუმროში. ტაისონს ჩხუბი მოუხდა ორი ესპანური წარმომავლობის კაცთან, რომელთაც ერთი ქალი ახლდათ. შეხლა-შემოხლისა წაკამთების შემდეგ ჩხუბი ატყდა და ტაისონიცა და ის ორი უცნობიც ჰოსპიტალში წაიყვანეს, თუმცა სანაკერო და მოსავლელი არაფერი ჭირდათ.

პოლიციამ სამივე მოჩხუბარი მიაბრძანა განყოფილებაში, სადაც აღიძრა საქმე მესამე ხარისხის ძალადობის გამო. ტაისონს ნაფხაჭნები ჰქონია სახეზე და უთქვამს, რომ ამბავი სასტუმროში კი არა, მის გარეთ მომხდარა და როგორც იხსენებს, სკამი ესროლეს.

საჭირო ქაღალდების შევსების შემდეგ პოლიციამ მოჩხუბრები გაუშვა და ბრძანა, სასამართლო უწყებებს დაელოდეთო.

მამა და შვილი

შაბათღამ, ლოს ანჯელესში იჩხუბა ქალთა სუპერსაშუალო წონის ჩემპიონმა ლეილა ალიმ, რომელმაც ექვსი რაუნდის თავზე ტექნიკური ნოკაუტით სძლია ვალერი მაფუდს. ეს ბრძოლა ლუისკლიჩკოს ანდერქარდში გაიმართა. ამასობაში კი მამამისი, დიადი მუჰამედ ალი ირლანდიის დედაქალაქ დუბლინშია, სადაც სპეციალური ოლიმპიური თამაშების გახსნას უნდა დაესწროს. იქვეა ლეგენდარული აფრიკელი ნელსონ მანდელაც, ძველი მოკრივე. შავი მსოფლიოს ორი უდიდესი კაცი შეხვედრა, ცხადია, საღლაბუცო კრივობაში გადაიზარდა



REUTERS დუბლინიდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ეკალი უვარდოდ ავსტრალიისთვის
ინგლისმა ისტორიაც დაამარცხა

ინგლისის ნაკრები ემსგავსება მონსტრს, რომლის შემჩერებელი არ მოიძებნება — ასეთი კომენტარი გააკეთა ავსტრალიელთა ლეგენდარულმა მორაგბემ და ყოფილმა კაპიტანმა ჯონ ილზმა, როდესაც ავსტრალია — ინგლისის მატჩის შემდეგ ინგლისელთა შეფასება სთხოვეს.

იგულისხმება უქმეების მთავარი ტესტ-ჯახი ავსტრალია — ინგლისი, რომელიც კლაივ ვუდვორდის „ვარდებმა“ შთამბეჭდავად მოიგეს, ამასთან, ექვსი ერის სლემჩემპიონებმა მიჯრით მე-13 ტესტში იმარჯვეს, თან ავსტრალია ავსტრალიაში პირველად დაამარცხეს

REUTERS მელბურნიდან

ინგლისელი ბენ კოენი ბენ დარვინს და ჯორჯ გრეგანს იოლად დაუსხლტა

— 21 ივნისი. მელბურნი —

ავსტრალია 14:25 ინგლისი

ავსტრალია: 1ლ: სეილორი; 3ს: როფი
ინგლისი: 3ლ: გრინვუდი, ტინდალი, ჯონი; 2გ: უილკინსონი; 2ს: უილკინსონი

ინგლისს, მეტადრე კი მის ახლო-მხვედველ მწვრთნელ კლაივ ვუდვორდს ბევრს აკრიტიკებენ „ვარდების“ პრაგმატული სტილის გამო. „მოსაწყენი ინგლისი“ — ასე შეარქვეს ვუდვორდის საათივით აწყობილ გუნდს, თუმც ეს თავად მწვრთნელს ნაკლებად აღელვებს: „სულ არ მაინტერესებს, რას ამბობენ ჩემზე და ჩემს გუნდზე. ჩვენ მოვუგეთ ყველას, ვინც კი მსოფლიოს რაგბიში გრანდად მოიხსენიება, თანაც მათსავე მოედანზე. ერთადერთი მიზანი დავვრჩა — გავხდეთ მსოფლიოს ჩემპიონები, რასაც გავაკეთებთ კიდეც. მერე ვნახავ, რას იტყვიან ოპონენტები. და კიდევ: ჩემთვის მთავარი შედეგია და არა ლამაზი თამაში. ვისაც ხელოვნების ნიმუშის ნახვა გსურთ, მუზეუმში მიბრძანდით.“

ინგლისმა არც ამჯერად უღალატა პრაგმატიზმს, რაც მოლის გაწყობაში და მერე მიწოლაში გამოიხატება. ისე, „ვარდები“ თუ ვინმეს მოლით მიაწვნენ, მათი გამჩერებელი არავინაა. არადა, ინგლისს დღეს მსოფლიოში საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავს. ჯონი უილკინსონი, ბენ კოენი, მაიკ ტინდალი, უილ გრინვუდი და ჯეისონ რობინსონი ნებისმიერი გუნდის დაცვას დაარბევენ.

ინგლისმა ავსტრალია უფრო ჯანით დაჯაბნა, ოღონდ ისე არ გაიგოთ, თითქოს ბრიტენელთა „თეთრ ლეგიონს“ ეშხიან ბურთაობაზე უარი თქვას.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ინგლისელთა ჰუკერი (მე-2 ნომერი) სტივ ტომპსონი აღიარეს, თუმც სამივე ლელო უკანახაზელებმა გაიტანეს. ამათგან ბოლო, გოლიათ გარემარბ ბენ კოენის ლელო ძალიან ლამაზი გამოდგა: ჯონი უილკინსონმა მარჯვე მოძრაობით მოაღორა ავსტრალიელთა დაცვის ხაზი, მისკენ დაძრული მორგან ტურინუი ფინტით ჩამოიცილა და მოკლე პასი მიაწოდა კოენს, რომელიც მეტოქის ლელოსკენ დაიძრა და კრის ლატამის დაგვიანებულ ბოჭვას იოლად დააღწია თავი.

მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა უილკინსონმა, რომელიც ვინძლო პირველად არ დაასახელეს წლევანდელი ტესტების მთავარ მოთამაშედ: „მატჩის წინ ძალიან ვღელავდი, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონს ვეთამაშებოდით, თანაც მისსავე მოედანზე. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ... გასახდელში შამპანურში ვიწუწავებ, შინ რომ დავბრუნდები, რამდენიმე კათხა ლუდითაც დავასვენებ ამ ისტორიულ გამარჯვებას.“

— 21 ივნისი. ბუენოს აირესი —

არგენტინა 33:32 საფრანგეთი

არგენტინა: 2ლ: ერნანდესი, ორტეგა; 1გ: კესადა; 5ს: კესადა; 2ა: არბიზუ, კესადა
საფრანგეთი: 2ლ: ფუზიონი, ელორგა; 2გ: მიშალაკი; 6ს: დელეი (2), ტრაილ, მიშალაკი (3)

— 21 ივნისი. ვაიკატო —

ახალი ზელანდია 55:3 უელსი

ახალი ზელანდია: 8ლ: ჰოულეტი, სპენსერი, კარტერი, მიიუსი, მილამუ, უმაგა, როკოკოკი (2); 6გ: კარტერი; 2ს: კარტერი
უელსი: 1ს: ს. ჯონსი

— 21 ივნისი. აპია პარკი —

ირლანდია 40:12 სამოა

ირლანდია: 3ლ: ოგარა (2), მილერი; 2გ: ოგარა; 6ს: ოგარა (5), ბურკი; 1ა: ოგარა
სამოა: 2ლ: ფანუატანუ, ვაა; 1გ: ვაა

საფრანგეთმა მეორე ტესტიც წააგო არგენტინასთან და იქაური ტურნე 0:2 დაასრულა. სამხრეთამერიკელებმა კი ისტორია შექმნეს: მათ ფრანგებისთვის აქამდე ერთი ტურნეც ვერ მოეგოთ.

ამ მატჩში არგენტინელებს დაუბრუნდა 1999 წლის მსოფლიოს თასის ბომბარდირი გონსალო კესადა. სწორედ ქულებს დანატრებულმა კესადამ მოაგებინა მასიანებს — დრამატული ჯახის ბოლო წამებზე გამარჯვების არეკნი გაიტანა, სულ კი „პუმებს“ 20 ქულა მოუნაგრა.

ახალმა ზელანდიამ შინ უელსი 55:3 გაანადგურა. ამხელა სხვაობით „კივებს“ უელსისთვის აქამდე არ მოეგოთ. მატჩის გმირი „ოლ ბლექსის“ შუამარბი დენიელ კარტერი გახდა. ამ ჯეელმა პირველად ითამაშა ნაკრებში და დებიუტი ბრწყინვალედ აღნიშნა. მისიანთა 8 ლელოდან ერთი კარტერისაა. ამის გარდა მან ექვსი ლელო გარდასახა და ერთი საჯარიმოც გაიტანა, ჯამში კი 20 ქულა მოიზვეჭა.

მიხეილ ხოფერია

მეტსახელიანი სოლბერგი სახელიანი ხდება



მოცეკვავე პეტერ სოლბერგმა თავისი „სუბარუ“ პირველმა მიაგელვა ფინიშთან



მიყოლებით, მხოლოდ ორკვირიან შუალედში მიწყობილმა ორმა ეტაპმა მერალეებს იმდენი საწვალებელი გაუჩინა, მთელ სეზონს ეყოფოდა.

ისევე როგორც საბერძნეთში, კუნძულოვან კვიპროსის ქალაქ ლიმასოლის მთიან შემოგარენშიც ეკიპაჟებისთვის უმთავრესი თავსატეხი ქვაღორღიანი, მიხვეულ-მოხვეული გზები და აუტანელი სიცხე გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეები სტარტს დილაადრიან, რვა საათზე იღებდნენ, ჰაერის ტემპერატურა ამ დროისთვის უკვე 30 გრადუსს აღწევდა. გარდა ამისა, 341-კილომეტრიან დისტანციაზე, რომელზეც ამბობენ ერთი გადაბმული მოსახვევიაო, ძრავებს ყოველწამს სიჩქარის გადართვის გამოც დიდი ჯაფა ადგათ და რა გასაკვირია, რომ სტარტზე გასული 51 მანქანიდან ფინიშამდე მხოლოდ 17-მა მიაღწია. სამდღიანი ჯირითისას პრაქტიკულად ყველა ეკიპაჟს შეექმნა პრობლემები.

ჩემპიონატის ლიდერი რიჩარდ ბარნსი ამჯერადაც თავიდანვე უჩიოდა სისწრაფის ნაკლებობას. ბრიტანელის „პეჟოს“ სიჩქარეთა კოლოფი მალე კი შეუცვალეს, მაგრამ ლამის ტროპიკულმა პაპანაქებამ თავისი გაიტანა და მეორე დღეს ბრძოლას მაინც გამოეთიშა. საბერძნეთში გამარჯვებულ მარკო მარტინის „ფორდსაც“ სიჩქარეები გაეჭედა და ისიც, ისევე როგორც მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი მარკუს გრონჰოლმი და ოთხგზის ტრიუმფატორი ტომი მაკინენი, ისე გამოაკლდა მოასპარეზეთ, ნახევარი დისტანციის გავლაც ვერ შეძლო.

საწყისი სამი ჩქაროსნული მონაკვეთის მოგებით ფინელი პეჟოელები ჰარი როვანპერა და რისტო პიეტილაინენი დაწინაურდნენ. პირველი დღის მიწურულს, მათ ლიდერობა თანამემამულე-თანაგუნდელებმა — გრონჰოლმმა და ტომი რაუტიაინენმა კი ჩამოართვეს, მაგრამ როგორც გაირკვა, მცირე ხნით. გამოძინებულზე ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ ნორვეგიელმა პეტერ სოლბერგმა და მისმა ბრიტანელმა შტურმანმა ფილიპ მილსმა ირბოლეს, საბოლოოდ 18-დან შვიდ უბანზე ავჯობეს ყველას და ერთხელ წინ გასულებს პირველობა ბოლომდე არავისთვის დაუთმიათ.

28 წლის სოლბერგი მიმდინარე სეზონში ეტაპის მომგები მეხუთე პილოტი გახდა. ნორვეგიელის ექვსწლიან კარიერაში ეს მეორე დიდი პრიზია შარშან ბრიტანეთში ტრიუმფის შემდეგ. დაუდეგარ, ემოციებით სავსე დისკოს ცეკვის ჩემპიონ პეტერ „ჰოლივუდს“, ბუნებრივია, ამბიციები მოეძალა — „ფანტასტიკური გამარჯვება იყო. ახლა მანქანა მომდევნო უფრო სწრაფი გზებისთვის უნდა მოვამზადოთ, რომ ჩემპიონატის მეორე ნახევარში კიდევ რამდენიმე ეტაპის მოგება შევძლო, რათა ტიტულზე პრეტენზია განვაცხადო. მანქანის ტარება ცეკვასავითაა. აქაც აუცილებელია რიტმის, სისწრაფისა და მიხვევ-მოხვევის გრძნობა. იმედი მაქვს, სეზონი წარმატებული იქნება.“

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	5 სთ; 09.12,6
2	ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო)	ჩამორჩა 4.14,0
3	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	4.16,8
4	კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, სიტროენი)	4.45,3
5	კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი)	5.42,2
6	მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი)	8.58,7
7	არმინ შვარცი (გერმანია, ჰიუნდაი)	13.29,0
8	ალისტერ გინლი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი)	23.57,3

საერთო ჩათვლა

1. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) 37 ქულა; 2. კარლოს საინსი 36; 3. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) 30; 4. პეტერ სოლბერგი 29; 5. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 23; 6. სებასტიენ ლოები 23; 7. კოლინ მაკრეი 23; 8. ჰარი როვანპერა 16; 9. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) 15; 10. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 9

კონსტრუქტორთა თასი

პეჟო 81 ქულა; სიტროენი 73; სუბარუ 47, ფორდი 43, შკოდა 20, ჰიუნდაი 6

კლაისტერსი და ენენი მრთმანეთს და ფინალს მიეჩვევნენ

ჟუსტინ ენენ-არდენისა და კიმ კლაისტერსის ფინალი პირველის ტრავმამ შეწყვიტა

HASTINGS DIRECT INTERNATIONAL CHAMPIONSHIPS

ისტბორნი. ბალახი

საპრიზო 585 ათასი დოლარი

მეოთხედფინალი

ჩანდა რუბინი (2, აშშ) — ანა პისტოლეზი (ისრაელი) 6:1, 6:0, ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:1, 7:5; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (4, სლოვაკეთი) 6:2, 6:3; სილვია ფარინა ელია (იტალია) — მაგდალენა მალეევა (8, ბულგარეთი) 5:7, 6:4, 6:4

ნახევარფინალი

რუბინი — კაპრიატი 2:6, 7:6 (7:5), 6:2; მარტინესი — ფარინა ელია 6:2, 6:4

ფინალი

რუბინი — მარტინესი 6:4, 3:6, 6:4

ჩანდა რუბინი ახლა ჩაუქ ფორმაშია და ეს ისტბორნულ კოინდარზე შარშან მოხვეჭილი ტიტულის დაცვითაც ცხადყო. 27 წლის ღიმილა შავგოგოს, ვისაც გაუთავებელმა ტრავმიანობამ არ დაანება, თორემ მისკბილა თვისტომთა — ლინდსი დეივენპორტისა და ჯენი კაპრიატის დარად სახელიანი სლემვარსკვლავი უნდა ყოფილიყო, ასეთი რამ არასოდეს გაეკეთებინა. მართალია, აქამდე მხოლოდ ძალზედ ცოტა, 6 ტიტული მოემკა, მაგრამ მომდევნო სეზონებში ამ ექვსიდან ვერც ერთის დაცვას ვერ ახერხებდა. ახლა კი აიღო და — დაიცვა!

თანაც საამისოდ ნახევარფინალსა და ფინალში ორი უძნელესი მატჩის გადატანა მოუხდა. პირველში სწორედ ბუთქუნა ჯენის სძლია, გადამწყვეტში კი უიმბლდონის 1994 წლის ჩემპიონთან, წლეულს საეჭვოდ ახუნტრუცებულ 31-წლოვან კონჩიტა მარტინესთან იმარჯვა.

ეს ჩანდას მეორე საამსეზონო ტიტული იყო (პირველი მან მაისის დამლევს მადრიდში მოიპოვა) და ამ ტიტულმა ის რიგიანი წინასაუიმბლდონო განწყობის გარდა საპრიზო 93 ათასი დოლარითაც ახეირა.

სათქმელია ისიც, რომ მარტინესი და რუბინი ერთმანეთს აქამდე 11-ჯერ შეხვედროდნენ და რუბინს მხოლოდ ორი მატჩი მოეგო.

და კიდევ: 32 საკარიერო ტიტულის მქონე კონჩიტამ, ვისაც 2000 წლის გერმანიის ღია პირველობის შემდეგ აღარსად უჩემპიონია, სეზონის პირველი ფინალი ითამაშა.

THE SAMSUNG OPEN

ნოტინგემი. ბალახი

საპრიზო 380 ათასი ევრო

მეოთხედფინალი

იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ტაილორ დენტი (7, აშშ). დენტს არ უთამაშია; მარდი ფიში (8, აშშ) — ალექსანდრ პოპი (გერმანი) 4:6, 7:6 (7:4), 6:4; ჰიშამ არაზი (მაროკო) — უეინ ართურსი (ავსტრალია) 6:4, 6:3; გრეგ რუზედეკი (ბრიტანეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი) 4:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:4)

ნახევარფინალი

ფიში — ბიორკმანი 6:7 (5:7), 6:3, 6:3; რუზედეკი — არაზი 7:5, 7:5

ფინალი

რუზედეკი — ფიში 6:3, 6:2

ამერიკელი ფიშის სეტისწაუგებლად და 57 წუთში შემუსვრამ 29 წლის მეყუთბარე კუნძულელ გრეგ რუზედეკის კარიერის მე-13 ტიტული და ზედაც 64 600 ათასი დოლარი მოარეწინა.

ამ 13-დან 3 რუზედეკის სწორედ ბალახზე აქვს ნაშოვნი — წლევანდელ ნოტინგემურს იქვე 1997-ში მოხვეჭილი და ათი წლის წინ ნიუპორტში ნაალაფევიც უნდა დავამატოთ.

(ენდი როდიკთან ერთად) მსოფლიოს რეკორდსანი მიმწოდებლისგან წლეულს ასეთ ჩაუქობას არავინ ელოდა. რუზედეკმ შარშან ოქტომბერში ჯერ ტერფზე, მარტში კი მუხლზე ოპერაციები და კორტს მხოლოდ როლანგაროსობაზე მოუბრუნდა. იქ მეყსეულად ჩაჩოგნილი უფრო უკეთ სტელა არტუაზე გაირჯა, სადაც მესამე წრეშიღა შეაჩერეს. ნოტინგემური წარმატების შემდეგ ის უკვე 2 მარცხის წილ 7 საამბოლოთვეო გამარჯვებას მოიძევს და ისეთ აღმფრენაშია, უიმბლდონზე ძალზედ შორს გააღწევდა, მეორე წრეშივე რეკორდის მოზიარეს, ენდი როდიკს რომ არ ეჯახებოდეს.

თუმცა ვინ იცის, რა ხდება.

რაც შეეხება მარდი ფიშს, ის კარიერის საუკეთესო სეზონს თამაშობს და როგორც სეზონის, ასევე კარიერის მეორე ფინალში გავიდა. მართალია, ნოტინგემის დარად ის დელრი ბიჩზეც დამარცხდა (თვისტომ გემბილთან), მაგრამ აქამდე ვერაფრის მიმღწევი 21 წლის ჭაბუკისთვის ცოტა არც ეს არის. მით უფრო, თუკი ის მთელი ეს ნახევარსეზონი სტაბილურობს და ორი ფინალის გარდა სამჯერ ჰიუსტონში, მემფისსა და სიდნეიში — მეოთხედფინალსაც უწია.

ORDINA OPEN

ჰერტოგენბოსხი. ბალახი

კაცები

საპრიზო 380 ათასი ევრო

მეოთხედფინალი

იან ვაჩეკი (ჩეხეთი) — ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი) 6:4, 6:4; სხენგ შალკენი (3, ბოლანდია) — ტომი რობრედო (6, ესპანეთი) 7:5, 6:4; არნო კლემანი (7, საფრანგეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 4:6, 6:3, 6:0; რაინერ სლოიტერი (ბოლანდია) — იონ ვან ლოტუში (ბოლანდია) 6:4, 7:5

ნახევარფინალი

შალკენი — სლოიტერი 6:3, 6:4; კლემანი — ვაჩეკი 6:3, 6:4

ფინალი

შალკენი — კლემანი 6:3, 6:4

მშობლიურ ნიადაგზე შარშან მონაგრული ტიტული დაჩთა პირველმა მეჩოგნემ წლეულს ისე დაინარჩუნა, მეტოქეთათვის ერთი ქეციანი სეტიც არ დაუთმია. კაცურად დაწყებული საქმე სხენგ შალკენმა კაცურადვე მოამთავრა — თავბანდანა ფრანგ კლემანს საქმე საათსა და 37 წუთში მოუყომარა და წლის პირველ, ხოლო კარიერის მე-8 ტიტულთან ერთად ჩაროზად დათქმული 64 600 დოლარიც მიითვალა.

ქალები

საპრიზო 170 ათასი ევრო

ნახევარფინალი

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:2, 6:4; ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — ნადია პეტროვა (5, რუსეთი) 5:7, 7:6 (7:5), 6:3

ფინალი

კლაისტერსი — ენენ-არდენი 6:7 (4:7), 3:0 ენენ-არდენმა შეწყვიტა

არავინ იცის, ჟუსტინ ენენ-არდენს მარცხენა მაჯა რომ არ დაჭიმვოდა, როგორ მომთავრდებოდა მისი და ფუმფულა კიმ კლაისტერსის მორიგი საფინალო დავიდარაბა.

თუკი მრჩევლად სტატისტიკას მოვიხმობთ, იმ დღეს წესით ისევ ჟუსტინს უნდა ემარჯვა და, აი, რატომ: ჯერ ერთი, ჰერტოგენბოსხურ ფინალში ბელგიური ზეჯგუფი ერთმანეთს 2001 წელსაც დასჯახებია და ენენ-არდენმა თვისტომს 6:4, 3:6, 6:3 სძლია. მეორეცაა და, თუმც კიმს მათი 12 განდაგანიდან 8-ჯერ უხეირია, მაგრამ როცა საქმე გადამწყვეტ, ფინალურ მატჩებამდე მიდის, ჟუსტინი უფრო ბასრად და დაუნდობლად გამოიყურება. ამის საილუსტრაციოდ გერმანიისა და საფრანგეთის წლევანდელ ღია პირველობათა ფინალებიც იკმარებდა, რომლებშიც სწორედ ციდა ჟუსტინმა ივარგა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ და კავშირებით კილოს არ შევრჩეთ, თხრობითად ვთქვათ: პირველი სეტის ტაიბრეიკზე ენენ-არდენმა მარცხენა ხელის მაჯა იტკინა და, იმის მიუხედავად, რომ თავად მეგარჯვენეა, მეორე სეტში მაინც გაჩერება არჩია. თავის განთქმულ ხელუკულმას ის შეტყუპებული ხელებით ურტყამს და ზედ უიმბლდონის წინ უბრალო დაჭიმულობას სერიოზულ ტრავმაში გადაზრდად არც იქაური ჯილდო ღირდა და არც ჯილდოს მოყოლილი 27 ათასი დოლარი.

ეს ორივე — ამრიგად — მის მეტოქეს ერგო.

კიმი ძალიან გაბარებული არ დარჩენილა — ტიტულს მოხვეჭა მას უშეღავათო, თანაბარ ბრძოლაში ეწადა და იმიტომ, თუმცა ფაქტი ფაქტია და მას ვერც კიმი გაექცევა და ვერც ჩვენ: ეს მისი მეოთხე საამსეზონო და მეთოთხმეტე საკარიერო ტიტული გახლდათ.

ლევან კილასურაძე

ოცდაათი წლის შემდეგ

წინასაუიმბლდონო ტრავმული ბოიკოტი



უიმბლდონს დაწყებამდე დააკლდნენ ამელი მორესმო და მარატ საფინი

წლეულს საუიმბლდონოდ დაგეშილ სახელიან მეჩოგნეთა სია ზედ ტურნირის დაწყების წინ კიდევ ორი სახელიანი მოთამაშით შემცირდა. ქალთა ამქარს მეექვსე ნომრად განთესილი ფრანგი ლესბოსელი ამელი მორესმო მოაკლდა, კაცებისას კი — მსოფლიოს ოდინდელ მეპირველე, ამჟამად ზეათეულს ჩაცდენილი და უიმბლდონობაზე მე-18 ნომრად შეგულებული მარატ საფინი.

შარშანდელი ნახევარფინალისტი მორესმო სეფებალახობას ერთ-ერთი მარჯვენა ნეკნის გამო მოაკლდება, ხოლო აშშ-ის ღია პირველობის 3 წლის წინანდელ ჩემპიონ რუსს ჯერაც ხელს ტრავმა აწუხებს.

საფინი ადრეიანვრიდანვე ტრავმიანობს და ეგებ გახსოვთ — მტკივანი მაჯის გამო მესამე წრეში შეწყვიტა ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოსვლა. მან მას შემდეგაც ბევრი იუქმა, როლანგაროსობაზე თამაშიც ვერ შეძლო და ახლა უკვე წლის მესამე სლემტურნირსაც აკლდება.

მის კვალს მიჰყვა ასევე როლან გაროსის ორგზის მომგები ესპანელი ალექს კორეჩაც, ვისმა მეუღლე მარტამაც ნაადრევი მშობიარობის შედეგად ხუთშაბათს ქალიშვილი არაა შესძინა.

საფინისა და კორეჩას გარდა კაცთა ბადეში ვერ ვიხილავთ უიმბლდონის 1996 წლის ჩემპიონს, ჩოგბურთიდან იმ კვირაში წასულ რიხარდ კრაიჩეკს, დაშავებულებს — 2001 წლის ჩემპიონ გორან ივანიშევიჩს, შარშანდელ როლანგაროსოსან ალბერტ კოსტას, ტომი ჰაასს, მაგნუს ნორმანს, კარლოს მოიას, შარშანდელ მეავსტრალიე ტომას იოჰანსონსა და მარსელო რიოსს.

აღარაფერს ვამბობთ უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონ, ჩოგბურთიდან დროებით გადამდგარ პიტ სამპრასზე, რომელიც უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში პირველად არ გაჯეგავს „ოლ ინგლანდ ქლაბის“ კოინდარს.

სხვათა შორის — სახელიან მეჩოგნე კაცთა ასეთი ლიანგური მოსაკლისება უიმბლდონს 1973 წლის ბოიკოტის შემდეგ არ ახსოვს. იმ წელს იუგოსლაველ მახვშთა მიერ „მოკვეთილი“ ურჩი მეჩოგნის, ნიკი პილიჩისადმი სოლიდარობის მიზნით უიმბლდონს ერთბაშად 70-ზე მეტმა დასავლელმა მეჩოგნემ უბოიკოტა.

კაცებთან შედარებით ქალთა ბადის ბედი შედარებით მსუბუქია — მორესმოს გარდა სახელიანი გოგონებიდან იქ მხოლოდ 1992 წლის ფინალისტი მონიკა სელეში და ანა კურნიკოვა არ იქნებიან.

პირველი წრე

კაცები

ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:2, 6:2, 6:4; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 1:6, 7:6 (7:5), 6:3, 6:4; მარატ პირნი (ბელარუსი) — ვინს სპედია (31, აშშ) 6:2, 6:4, 6:4; ავგუსტინ კალერი (23, არგენტინა) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 7:5, 1:0 ვოინიამ შეწყვიტა; ენდი როდიკი (5, აშშ) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:2, 6:3, 6:3; პარადორნ შრიჩაფანი (12, ტაილანდი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 6:4, 4:6, 3:6, 6:3; ლი ჩაილდსი (ბრიტანეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (33, რუსეთი) 2:6, 7:6 (7:2), 1:6, 7:6 (7:5), 6:2; რაინერ შიუტლერი (9, გერმანია) — მიხაილ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:3, 6:4, 6:7 (4:7), 7:5; მიხაილ იუჟნი (16, რუსეთი) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:4, 6:2, 6:3; მარდი ფიში (აშშ) — გასტონ გაუდიო (29, არგენტინა) 6:2, 4:6, 6:3, 6:3; ტომი რობრედო (25, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 3:6, 6:3, 7:6 (8:6), 6:4

ქალები

ნატალი დეში (22, საფრანგეთი) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:2; დენისა ჭლადკოვა (30, ჩეხეთი) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:3; სილვია ფარინა ელია (27, იტალია) — მარტინა სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 6:4, 6:2; სამანტა რივზი (აშშ) — ანა პისტოლეზი (25, ისრაელი) 6:7, 6:4; ვინუს უილიამსი (4, აშშ) — სტანისლავა ჰროზენსკა (სლოვაკეთი) 6:2, 6:2; ლინდსი დეივენპორტი (5, აშშ) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 7:6, 7:5; კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — როსანა ნეფა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:0, 6:0; სამანტა კუტცერი (17, სამხრეთ აფრიკა) — დელი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) 6:1, 3:6, 6:3; პეტრა მანდულა (უნგრეთი) — პატი შნიდერი (20, შვეიცარია) 7:6 (7:2), 6:3; დანია ბეიდანოვა (ჩეხეთი) — ტატიანა პუტჩეკი (ბელარუსი) 6:3, 4:6, 6:4



REUTERS მანილიდან

პირველად სხვაგან

ეს საჩოგბურთო ბურთები უიმბლდონისთვისაა. ფოტო ტურნირის გახსნამდე ორი დღით ადრეა გადაღებული ფილიპინების დედაქალაქ მანილაში, სადაც მზადდება კიდეც „დანლოპ შლეზინგერის“ ბურთები. ამ ამბავში საინტერესო ის არის, რომ უიმბლდონის ტურნირის 101-წლიან ისტორიაში ბურთები პირველად მზადდება ინგლისის ფარგლებს გარეთ.



REUTERS მილანიდან

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ

ბოლივიაში, ბარკისიმეტოში სამხრეთ ამერიკის სამძლეოსნო ჩემპიონატი მიმდინარეობს. არგენტინელი ალექსანდრა გარსია საუკეთესო სამხრეთამერიკელი ჭოკით მხტომელია და ახლაც გადაევლო 4,20 მეტრზე შემოდებულ თამასას, რითაც ჩემპიონობაც მოიპოვა.



REUTERS ბარკისიმეტოდან

ᲑᲔᲥᲖᲘ ᲛᲘᲚᲐᲜᲨᲘ

არა, ეს არ არის დევიდ ბექემი. დევიდ ბექემი ახლა სხვა ქალაქშია და არა მილანში, რომლის პოდიუმებისკენაც მისი ცოლი, ვიქტორია მიიწევდა. თუმცა, მილანის მოდის ხალხს ბექემი სჭირდება და ახლა გახურებულ ფეშენ-შოუებზე დოლჩესა და გაბანას ამნაირი მაისურიც გამოჩნდა. საზაფხულო კოლექციაა, მოკლედ.

ᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲐ

შვეიცარიის ტური უკვე გვარიანად გახურებულა. მეხუთე ეტაპის შემდეგ, რომელიც ასკონასა და ლა პუნს შუა იდო, ლიდერობა „ლამპრეს“ გუნდის წევრმა ფრანჩესკო კასაგრანდემ იგდო ხელთ. აქამდე ლიდერად ტელეკომელი ყაზახი ალექსანდრ ვინოკუროვი იყო. სან ბერნარდინოს უღელტეხილზე კი ფარსაგი საქმე მოუხდა ლამპრელ ვლადიმირ ბელის, რომელიც მოსახვევში წაიქცა და გვარიანადაც დაშავდა.



REUTERS ლა პუნიდან

REUTERS დუბლინიდან

ᲛᲔᲩᲘᲠᲐᲚᲓᲜᲔ

ამ შაბათს დუბლინში საზეიმოდ გაიხსნება სპეციალური ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 160 ქვეყნის შესაძლებლობებშეზღუდული სპორტსმენები ჩაერთვებიან. ამ ოლიმპიადის მთავარი მეჩირაღდნე არნოლდ შვარცენეგერი გახლავთ, რომელიც მეტად გულში ჩამწვდომი სიტყვით გამოვიდა პრესკონფერენციაზე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგეტაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge